619
1958/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 11 ნოემბერი 1958



ფოტოეტიუდი გ. თიკანაძისა

უ შ ბ ა ზ ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 11 (88) ნოემბერი 1958 წ.

გამოცემის VIII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



7746

# 7 ნოემბერი თბილისში



საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

## ქვემსუბუქი წონის ჩემპიონი

Სახელოვანი ქართველი მეტალურგის ბიოგრაფია შეიძლება ასე დაგვეწყო: — „ვარდიშ გიორგის-ძე კობერიძე დაიბადა სოფელ ველისციხეში 1926 წელს. ვარდიშის მამა — გიორგი რაჭიდან, სოფელ კნოლევიდან გადმოსახლდა კახეთში — კუჭატანში, მერე ზედსიძეთ შევიდა ველისციხელი საბა ქიტოშვილის ოჯახში და საბოლოოდ აქ დასახლდა; აქვე დაიბადა ბიჭი, რომელსაც იშვიათი სახელი ვარდიშელი დაანათლეს. შემდეგში ვარდიშს ხშირად ეკითხებოდნენ მისი სახელის წარმოშობის გამო, მაგრამ ბავშვობაში გაგონილი ლექსის გარდა: — „ბიჭი ვიყავ ვარდიშელი, ბუღას მიგავს თავკისერი“— ვარდიშმა თავისი სახელის წარმოშობისა არაფერი იცოდა.

გავიდა დრო და ვარდიშელი — ვარდიშად შეიკვეცა, ხოლო რაც შეეხება ლექსში ნახსენებ — თავკისერს, ვარდიში ნამდვილად დაემსგავსა იმ თავის უცნობ სეხნიას და თოთხმეტი წლისა უკვე სოფლის ფალავნობას იჩემებდა... მაგრამ, არა! — აი, ეს ვარდიშ კობერიძე, საბრძმედე საამქროს უფროსი ოსტატი და სოციალისტური შრომის გმირი დაიბადა 1944 წლის გვიან შემოდგომის იმ დილას, როდესაც პირველად მორიდებითა და მოკრძალებით შესდგა ფეხი ენაკიევოს მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროში, დაინახა ბრძმედის კრიჭიდან გადმოღვრილი აბობოქრებული ცეცხლოვანი ნაკადი, რომელიც ნაპერწკლების შადრევნებს აფრქვევდა და მერე აალებულ ჩანჩქერად დაეშვა ქვევით, უშველებელ ციცხვისაკენ, რომელშიც გამლღვარი თუჯი ისე ბობოქრობდა და შფოთავდა, როგორც მიწის სიღრმიდან ამოფრქვეული ლავა ვულკანის კრატერში...



საჭიროა წიგნის მაღაზიაში შესვლა—ახალი წიგნების მოკითხვა.
— გამარჯობათ! ახალი რა გაქვთ?
— ახალი?—ძალიან ბევრი... ტექნიკური ლიტერატურა გაინტერესებთ... აი მარტენის მართვის...
— კი, მაგრამ მე ხომ მებრძმედე ვარ...
— რასაკვირველია, აი...
— აბა, ესენი ჩვენ არა გვჭირდება! და კარადაში გადახედეს სასოფლო-სამეურნეო წიგნებს, რომლებითაც უხვადაა მომარაგებული რუსთავის წიგნის მაღაზია.

## ვარდიშ კობერიძე

### კოტე ჯავრიშვილი

ფოტო ო. თურქიასი

და აქ, უცხო და შორეულ ენაკიევოში (სულ მალე ვარდიშისათვის იგი ახლობელი და საყვარელი გახდება) ვარდიშს გაახსენდა მშობლიური ველისციხის სკოლა, გეოგრაფიის გაკვეთილი და ის კარგი მასწავლებელი იოსებ სამნიაშვილი, ისე გატაცებით რომ უამბობდა შორეული ქვეყნების ამბავს.

ყველაზე უფრო მასწავლებელს უყვარდა ლაპარაკი საბჭოეთის თვალუწვდენელ სივრცეებში ახლად აღმოცენებულ ქალაქებსა, ქარხნებსა, მაღაროებსა და ჰიდროელექტროსადგურებზე, სანაოსნო და სარწყავ არხებსა და ბაღადქცეულ უდაბნოებზე, მიუვალ მთებში გაჭრილ გზებსა და ადამიანის ხელით დაგუბებულ ზღვებზე...

ბიჭს გაიტაცებდა ოცნება იმ შორეულ ქალაქებსა და ახალ მშენებლობებზე და ოცნებაში წასული თვითონაც მოგზაურობდა როგორც... როგორც მისი სიყრმის გმირი სახელმოხვეჭილი ქართველი ფალავანი არსენ მეკოკიშვილი...

ეს სწორედ ის ხანი იყო, როდესაც ვარდიშმა ის იყო ხელი გამოიღო, ჭიდაობის ორიოდე ილეთი შეისწავლა და ტოლბიჭებში პირველი გამარჯვებები მოიპოვა. ახლა ჭიდაობით იყო გატაცებული. ამ გატაცებას ბიძა მისი, ცნობილი ქართველი მოჭიდავე ნიკოლოზ კობერიძეც ხელს უწყობდა, ველისციხეში ყოველ ჩამოსვლაზე ხედავდა ძმისწულის ახალ-ახალ წარმატებებს, თვითონაც ახალ ილეთებს ასწავლიდა, წვრთნიდა და თითქოს თავისთავად ცხადი გახდა — ჰო, რასაკვირველია, ვარდიში სპორტსმენი უნდა გახდეს, ფიზკულტურის ტექნიკუმში უნდა შევიდეს.

ვარდიში ცუ არ ხუმრობდა, ველისციხის ფალავნობას ძლივ სჯერდებოდა და ახლა გურჯაანში, რაიონის პირველობაზე გავიდა და სახლში გამარჯვებული დაბრუნდა — რაიონის პირველობა მოიპოვა...

ცხადია, მარტო ჭიდაობა არაფერს არგებდა, რაიმე საქმეც უნდა ეკეთებინა... აი თუნდაც შოფრობას ისწავლის და „ზისებს“ აქროლებს კახეთის შარაგზაზე... ჯერ მძღოლის თანაშემწედ იქნება...

საქმე კი სულ სხვაგვარად წარიმართა. ვარდიშმა სკოლა დაამთავრა და თბილისში, ფიზკულტურის ტექნიკუმში წასასვლელად ემზადებოდა, როდესაც იფეთქა მეორე სამამულო ომმა...

ახლობლები და მეზობლები ჯარში მიდიოდნენ... ვარდიშმა გააცილა ფრონტზე საყვარელი მასწავლებელი იოსებ სამნიაშვილიც, შემოდგომაზე კი თვითონ თბილისში, ფიზკულტურის ტექნიკუმში გაემგზავრა.

ომის წლები თბილისში. სწავლა და შრომა. დაძაბული წვრთნა და მზადება საქართველოს პირველობისათვის ქართულ ჭიდაობაში.

1942 წლის საქართველოს პირველობაზე ვარდიში გამოდის ქვემსუბუქ წონაში და საქართველოს ჩემპიონი ხდება ამ წონის კატეგორიაში.

სპორტი და სწავლა კარგი საქმეა, მაგრამ როდესაც ქვეყანა ომის ქარცეცხლშია გახვეული და ყოველი მუშახელი ოქროს ფასადაა, განა შეეძლო გამრჯე და ძალამოჭარბებულ ბიჭს სპორტსა და სწავლას დასჯერებოდა... ვარდიში ანებებს თავს ტექნიკუმს და გურჯაანის სამანქანო-სატრაქტორო სადგურში იწყებს ტრაქტორისტების კურსებზე სწავლასა და მუშაობას.

ველისციხელ, ახაშნელ და ვაზისუბნელ კოლმეურნეებს კარგად ახსოვთ ის შავტუხა ბიჭი, ასე ხალისით რომ უჯდა ტრაქტორის საჭეს და ხან ხნავდა, ხან მკიდა და ლეწავდა.

ამ წლებმა დაძაბულ შრომაში გაიარეს და, იქნებ, გურჯაანის ემტეესის ტრაქტორისტ-კომბაინერს ვარდიშ კობერიძეს კიდევაც ეგონა, რომ საბოლოოდ მიაგნო თავის ნამდვილ პროფესიას, იმ პროფესიას, რომელიც მან შეიყვარა და ხალისით ეუფლებოდა მის ყოველ საიდუმლოებას, მაგრამ... ეს მესამედ იყო, რომ სულ სხვაგვარად დაიგეზა ვარდიშის შემდგომი ბედ-იღბალი.



საოჯახო თათბირი სანახაობათა განცხადებების სვეტთან.

ძველ ნაქალაქარ რუსთავში იწყებოდა მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა და სხვა ასეულ და ათასეულ ჭაბუკთან ერთად ვარდიშიც გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას და შორეულ ენაკიევოში გაემგზავრა მეტალურგის რთული პროფესიის შესასწავლად.

## საბჭოთა კავშირის საუკეთესო მექურე

ომის წლების შემოვლითი გზებით მავალმა მატარებელმა გადასერა უსასრულო, დანგრეული და პარტახად ქცეული სოფლებითა და ქალაქებით მოფენილი ველი და ახლად განთავისუფლებულ დონბასის ფარგლებში შევიდა.

სტალინო.., გორლოვკა... ენაკიევო...

— ენაკიევო! — და ვარდიშს უცებ გაახსენდა ველისციხე, გეოგრაფიის გაკვეთილი, მასწავლებელი, ასე გატაცებით რომ უამბობდა საბჭოთა კავშირის „ნახშირისა და ლითონის კიდობანის“ — დონბასის შესახებ... სადღაც აქ, სამამულო ომის ფრონტზე დაიღუპა იოსებ სამნიაშვილი, მის მოწაფეს — ვარდიშ კობერიძეს — კი წილად ხვდა ესწავლა და ეშრომა დონბასში, ენაკიევოში.



ახალგაზრდობის აღზრდა მარტო საბრძმედე საამქროში არ აწუხებს... ისიც საფიქრელია რომ უმცროსი ვაჟი — იური ამ ბოლო ხანს ბურთის თამაშს გადაჰყვა, საჭიროა დროზე გააფრთხილოს, თორემ ის ხუთიანები დღეს რომ დღიურში უწერია — სულ შეიძლება ორიანებად გადაიქცეს.

საექიმო კომისია. კადრების განყოფილება. და, აი, საგზურზე წარწერა — „საბრძმედე საამქრო“.

როდესაც, 1944 წელს გურჯაანის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ტრაქტორისტი თვრამეტი წლის ბიჭი ენაკიევოში ჩამოვიდა, ქალაქი ჯერ ახლად სულს ითქვამდა გერმანელ ფაშისტთა ოკუპაციის მძიმე წლების შემდეგ.

სწავლა და შრომა: — ბრძმედების აღდგენა, ჩამქრალი ბრძმედების გაღვივება და ამუშავება — ყოველივე ეს თავისი თვალით ნახა და საკუთარი ხელით მოსინჯა ვარდიშმა.

1949 წელს მუშათა ტექნიკური სწავლების დნეპროპეტროვსკის ინსტიტუტმა გამოუშვა ინჟინერ ა. ი. ზიუზგინის წიგნი — „ბრძმედის სასარგებლო მოცულობის გამოყენების საუკეთესო კოეფიციენტისათვის“. ამ წიგნს ქვესათაურიცა აქვს: — „ენაკიევოს მეტალურგიული ქარხნის № 4 ბრძმედზე მომუშავე საბჭოთა კავშირის საუკეთესო მექურის ვარდიშ გიორგის-ძე კობერიძის მუშაობის მეთოდების ტექნიკური აღწერილობა“.

სასარგებლო მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი (КИПО) — ბრძმედის მუშაობის ძირითადი მაჩვენებელია. იგი წარმოადგენს ბრძმედის სასარგებლო მოცულობის (კუბმეტრებში) შეფარდებას დღე-ღამის განმავლობაში გამოდნობილ თუჯის რაოდენობასთან (ტონებში), ცხადია, რომ რაც მეტი თუჯი იქნება გამომდნარი დღე-ღამის განმავლობაში, მით უკეთესად იქნება გამოყენებული ბრძმედის სასარგებლო მოცულობა (იგი ხომ უცვლელია) და მით უფრო მცირე იქნება სასარგებლო მოცულობის კოეფიციენტი. იმ, № 4 ბრძმედზე, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა ვარდიშ კობერიძე, ეს კოეფიციენტი შეადგენდა 1,19-ს ე. ი. ბრძმედის სასარგებლო მოცულობის 456 თვითეული კუბმეტრიდან ხერხდებოდა ერთ ტონაზე ნაკლები (840 კგ) თუჯის გამოდნობა.

კარგად დაიხსომეთ ეს რიცხვები!

ენაკიევოს მეტალურგებმა სულ მოკლე ხანში აღადგინეს ფაშისტ ოკუპანტთა მიერ განადგურებული ქარხანა და უკვე 1948 წლის პირველ ნახევარში მიაღწიეს ომამდელ მაჩვენებლებს და დაიწყეს ბრძოლა თუჯის გამოდნობის გადიდებისათვის.

ვარდიში ჯერ ბრძმედის უფროსი ოსტატის ივანე მასლოვის ბრიგადაში მუშაობდა, შემდეგ — დაიწყო მუშაობა № 4 ბრძმედზე — უფროს მექურედ.

ოსტატ ლაუხინისა და უფროსი მექურის კობერიძის ბრიგადამ 1948 წლის განმავლობაში მიაღწია ძალიან მაღალ მაჩვენებლებს და ეს მაჩვენებლები განუხრელად იზრდებოდნენ.

1949 წლის იანვარში ბრძმედის სასარგებლო მოცულობის კოეფიციენტი 0,89 იყო, მარტში — 0,86, ივნისში — 0,82, ხოლო სექტემბერში—0,75.

უკვე საბჭოთა კავშირის საუკეთესო მექურის საპატიო წოდების მინიჭების შემდეგ კობერიძემ კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა — 0,72, ხოლო ცალკეულ დღეებში ბრძმედის სასარგებლო მოცულობის კოეფიციენტი მანამდე გაუგონარ და საზღაპრო მაჩვენებლებს აღწევდა — 0,57-ს ე. ი. ბრძმედის სასარგებლო მოცულობის ყოველი კუბმეტრიდან გამოდნობა 2-ჯერ მეტი იყო ვიდრე 1948 წლის დასაწყისში.

როგორ მოხდა, რომ ახალგაზრდამ, რომელიც მხოლოდ 1944 წელს ეზიარა მებრძმედის პროფესიას, ასე სწრაფად შეითვისა და შეისწავლა ეს რთული ხელოვნება და ასეთ წარმატებას მიაღწია.

ხშირად წერენ, რომ როდესაც ესა თუ ის, შემდეგში — წარმოების მოწინავე მუშა, პირველად მოვიდა ქარხანაში — მას არაფერი გაეგებოდა... მართალია, როდესაც ვარდიში ენაკიევოში ჩავიდა, მას თუჯის გამოდნობისა ბევრი არაფერი გაეგებო-

მამა სახურავზეა... რახან თან არ წაიყვანა ბიჭები, ფანჯრიდან მაინც ცდილობენ დაეხმარონ მამას, მით უმეტეს, რომ უკვე თორმეტი საათია და მალე დაიწყება საკვირაო ტელეგადაცემა — ანტენა თუ დროზე არ შეკეთდა, — გუშინდელივით შეფერხებები იქნება.




ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდიში სულაც არ ივიწყებს სახლსა და ოჯახს... დასვენების დღისათვის ბევრი საქმე დაუგროვდა...

და, მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში არაფერი არ იკარგება უკვალოდ.

ახლა გამოადგა ვარდიშს ყველაფერი, კომბაინის შტურვალთან თუ ტრაქტორის საჭესთან დაძაბული შრომის დღეებიც, თუ სამანქანო-სატრაქტორო სადგურის სახელოსნოში მანქანების რემონტის უძილო ღამეები, მისმა გამოწრთობილმა და გავარჯიშებულმა სხეულმა დაღლა არ იცოდა და ნურავინ იტყვის, რომ ქართულ ჭიდაობას, თვალმიუსწრები ილეთების შესწავლას, სხეულისა და სულიერ ძალთა დაძაბვის და მობილიზაციის ოსტატობას, მოწინააღმდეგის ილეთებზე — საპასუხო ილეთის წამის მეასედში გამოძებნის ჩვევას — არ ჰქონდათ მნიშვნელობა — და არ გაწვრთნეს და არ გაავარჯიშეს ვარდიშის ნებისყოფა და გამძლეობა...

ვარდიშმა პირველი დღეებიდანვე შეიყვარა თავისი მომავალი პროფესია, ცდილობდა გულდასმით და ღრმად ჩასწვდენოდა ყოველივეს, რასაც ეუბნებოდნენ და აჩვენებდნენ ოსტატები და მექურეები.

ვარდიშ კობერიძე ბეჯითად ითვისებდა ახალ პროფესიას და მეხუთე მექურის ადგილიდან ჯერ მეოთხის, მერე ნესამის, მერე მეორე მექურის ადგილზე გადაინაცვლა.

1948 წლის ნაისში ვარდიშს მიენიჭა უფროსი მექურის წოდება და იმავე წელს სტალინის ოლქის საუკეთესო მექურის საპატიო წოდება ზედიზედ რამდენიმეჯერ დაიმსახურა.

1949 წლიდან დაიწყო მეტალურგთა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით.

იმავე წლის ივლისში სტალინის საოლქო გაზეთი წერდა: — „სამინისტრომ და მეტალურგიულ მრეწველობის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს წამყვანი პროფესიების მუშათა და ოსტატთა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, 1949 წლის მეორე კვარტალისა... — გადაწყვეტილია სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნობილ იქნას და მიენიჭოს საუკეთესო მექურის წოდება ენაკიევოს მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს — კობერიძეს.

ივლისში ამხ. კობერიძემ ახალი მიღწევები მოიპოვა — მან თვიური დავალება შეასრულა 106,6 პროცენტით, სასარგებლო მოცულობის კოეფიციენტი შეადგენდა 0,77-ს, ყოველ ტონა გამოდნობილ თუჯზე ამხ. კობერიძემ დაზოგა 20 კილოგრამი კოქსი“.

„საბჭოთა კავშირის საუკეთესო მექურე“ — დიდი და საპატიო წოდებაა, პატივი და წარმატება შეიძლება ადვილად აუვარდეს თავში, მით უმეტეს, როდესაც ეს საუკეთესო მექურე — სულ ოცდასამი წლისაა.

აქ, ენაკიევოში ვარდიში ეზიარა მეტალურგის მაღალ ხელოვნებას, აქვე დაოსტატდა და მას გა-



**— შუა კაური! შუა კაური!**
**— არ შეშინდე, იური!**
**ძმების ორთა ბრძოლამ დიდი და აქტიური აუდიტორია შემოიკრიბა—ვარდიში ყურადღებით ადევნებს თვალს ძმების ჭიდაობას.**

მოუმუშავდა ის სტილი მუშაობისა, რომელიც მის მასწავლებლებს — ენაკიევოს სახელმოხვეჭილ ოსტატებს — ივანე მასლოვს, მარტინ იუდინს და ლაუშკინს ახასიათებდა...

1949 წლის გასულს კობერიძეს მიენიჭა ოსტატის წოდება და მას დამოუკიდებელი ცვლა ჩააბარეს.

ახალი ოსტატი თავგამოდებით შრომობდა. თავისი ცვლის დასაწყისამდე დიდი ხნით ადრე მოდიოდა საამქროში, რათა დაწვრილებით გაცნობოდა ყოველივეს, რაც წინა ცვლაში მოხდა: — როგორია ღუმელის მდგომარეობა, რა უშლიდა ხელს, როგორი იყო ბერვისა და ტემპერატურული რეჟიმი, ქშენების მდგომარეობა, წიდისა და თუჯის ანალიზები, თუჯის გამოსაშვები ხვრელის მდგომარეობა...

„ბრძმედი უნდა თანაბრად და ფორსირებულად მუშაობდეს" — ამბობენ მეტალურგები — და ოსტატი თვალს არ აშორებს ბრძმედის მუშაობის მაჩვენებელ ხელსაწყოებს — „გრძნობს" მის სუნთქვას და თუ საჭიროა — დაუყოვნებლივ იღებს ზომებს...

„არა მარტო ბევრი თუჯის გამოდნობა დავისახე მიზნად — ამბობდა კობერიძე, — არამედ მისი სრულიად მოპოვება. ხდება ხოლმე რომ თუჯს ბევრს გამოადნობ, მაგრამ სრულიად ვერ გამოუშვებ". — მაგრამ ვარდიშ კობერიძის ოსტატობაც სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ბევრსაც ადნობდა და სრულადაც გამოუშვებდა ხოლმე გამომდნარ თუჯს..

## საბრძმედე საამქროს უფროსი ოსტატი

სანამ ვარდიშ კობერიძე ენაკიევოში სწავლობდა, შრომობდა, ოსტატდებოდა, გამოცდილებასა და სახელს იხვეჭდა. რუსთავში საზღაპრო სისწრაფით აღმოცენდა და გაიზარდა საქართველოს მძიმე ინდუსტრიის სიამაყე — რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

როდესაც ვარდიში რუსთავს ჩამოვიდა და საბრძმედე საამქროში მოვიდა, რომ იტყვიან „თვალს არ დაუჯერა" — გამომცდელი თვალით შეათვალიერა ეს შესანიშნავი ბრძმედი, დაათვალიერა ყველა მისი მოწყობილობა. ვარდიშს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მექანიზებული ბრძმედი უნდა აემუშავებინა.

ადამიანის ცხოვრებაში არის რამდენიმე ისეთი წუთი, რომელიც მას ყოველთვის ახსოვს. ამ წუთებში, როგორც ფოკუსში იკრიბება ადამიანის ცხოვრების მთელი დედააზრი, მისი ბედ-იღბალის ყველა ხაზები — ამ წუთებშია მთელი მისი სიცოცხლისა და ადამიანობის გამართლება. ეს ის ბედნიერი წუთებია, როდესაც ადამიანი გრძნობს რომ მიაღწია ცხოვრების მიზანს და ამაყად შეუძლია გაუსწოროს თვალი თავის აღმზრდელ ხალხსა და თავის ქვეყანას.

1954 წლის ივლისის ექვსს, ვარდიშს წილად ხვდა დიდად საპატიო საქმე. მან გამოადნო პირველი ქართული თუჯი, პირველმა გახსნა ბრძმედის კრიჭა და ახლა უკვე გამოცდილი და მრავალნაცადი ოსტატის ხელით გამოუშვა პირველი დნობის თუჯი.

და ისევ დაიწყო დაძაბული შრომა ახალი ბრძმედის ასათვისებლად.

ვარდიშმა მთელი თავისი ოსტატობა, ცოდნა და მონდომება შეალია ამ ბრძმედს. ააწყო მისი მუშაობა, ყოველდღიურად აუმჯობესებდა მას და თუმცა ბრძმედის მუშაობის მაჩვენებლები ჯერ არ იყო ისეთი, როგორც ენაკიევოში — მუშაობა წარმატებით მიდიოდა. იყო შეფერხებებიც. დროებითი მარცხის სიმწარეც. მაგრამ ოსტატი ყოველთვის პოულობდა გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან.

ვარდიშ კობერიძე ყოველთვის ცდილობს მიაკვლიოს ყოველი შეფერხების პირველ მიზეზს, თანამედროვე მეცნიერების ზუსტი იარაღით შეჭურვილმა გამოიკვლიოს იგი და გამოასწოროს.

ბრძმედის წარმატებით მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოქსის ხარისხს. კოქსის ხარისხი კი ქვანახშირის ხარისხისაგანაა დამოკიდებული. ქვანახშირის ხარისხი მეტად დიდადაა დამოკიდებული იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ამ ქვანახშირს მოიპოვებენ. ადამიანები! რასაკვირველია, ადამიანები წყვეტენ ყველაფერს და ვარდიში მიდის ტყვარჩელში, ელაპარაკება ადამიანებს, რომლებიც უშუალოდ შახტის სანგრევში მოიპოვებენ ქვანახშირს, ადამიანები, რომლებიც გამამდიდრებელი ფაბრიკის დანადგარებს მართავენ, უხსნის მათ, ნახშირის ნაცრიანობის ერთი პროცენტის დაკლებაც-კი რამდენად გაუადვილებს ბრძმედის მუშაობას, რამდენ მუშახელს, დროსა და ელექტროენერგიას დაზოგავს...

ამ მოგზაურობის შემდეგ ნახშირის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ადამიანები წყვეტენ ყველაფერს და, თუ რომელიმე მუშა, აი, თუნდაც მექური ალექსი მარგოშია მთელი გულისყურით ვერ მუშაობს. მას რაღაცა აწუხებს, ვარდიში თავს მოვალედ სთვლის გამოიკვლიოს ამის მიზეზი, ჩასწვდეს ყოველი ადამიანის ლხინსა და გასაჭირს. ამიტომ ხშირად მუშაობის დამთავრების შემდეგ ვარდიშ კობერიძეს შეხვდებით ქალაქის საბჭოშიაც (ის ქალაქის საბჭოს დეპუტატია), ქალაქის ქუჩა-მოედნებზე და მუშების ბინებზე.

ამიტომ არის, რომ ხშირად საბრძმედე საამქროს პარტიული ბიუროს ოთახში გვიანობამდე არ ქრება სინათლე და საამქროს პარტორგი ვარდიშ კობერიძე ეთათბირება საამქროს კომუნისტებს თუჯის გამოშვების ზრდის და საამქროს ავ-კარგის შესახებ.

აი, ახლაც საჭირო იყო დაფლუსური აგლომერატის ტექნოლოგიის დამუშავება, ამ სამუშაოში ტექნიკურ მეცნიერების დოქტორ მ. კეკელიძესთან, ქარხნის ტექნიკური განყოფილების საბრძმედე ჯგუფის ხელმძღვანელ შ. ხოსტარიასთან, საბრძმედე საამქროს უფროსთან პ. გლადკოსკოვთან და საგლომერაციო უბნის უფროსს რ. რუხაძესთან ერთად მონაწილეობდნენ საგლომერაციო უბნის ოსტატები ზ. თეთრაძე, შ. ბოკოლიშვილი, უფროსი მეაგლომერატე ი. ხუციშვილი, ი. ბერეჟნოი, ბრძმედის ოსტატები მ. გორდაშვილი, ა. ძამაშვილი, უფროსი მექურე რ. ყანდაშვილი...

საბრძმედე საამქრო სულ უკეთ და უკეთ მუშაობს. ინერგება მუშაობის ახალი პროგრესიული მეთოდები. ერთი ბრძმედი გადაყვანილია საკერძეს ქვეშ გაძლიერებული წნევით მუშაობაზე — ამის შედეგად გამომდნარი თუჯის რაოდენობა ექვსი პროცენტით გაიზარდა, საამქრომ აითვისა მაღალი ხარისხის დაფლუსური აგლომერატის გამოშვება და ამან კიდევ ოთხი პროცენტით გაზარდა თუჯის რაოდენობა.

რუსთავის ქარხნის საბრძმედე საამქრომ ამ ნაჩვენებლებით გაუსწრო საბჭოთა კავშირის სამხრეთის მრავალ მეტალურგიულ ქარხანას.

ცხადია, ყველა ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ვარდიშ კობერიძეს.

### და ისევ მერხთან...

სიჩუმეა, მხოლოდ ცარცის თანაბარი კაკუნი ისმის. მასწავლებელმა დაამთავრა ახსნა. გამოიყვანა ფორმულა. დასდო ცარცი.

მოწაფეები თავაულებლივ წერენ. მეტალურგიული ტექნიკუმის მეოთხე კურსის სტუდენტმა ვარდიშ კობერიძემაც დაამთავრა წერა — შეხედა მასწავლებელს და წუთით ფიქრმა წაიღო. მის წინ ჩაიარეს საყვარელმა და ახლობელმა ადამიანებმა — სადღაც ბრძოლის ველზე დაღუპულმა იოსებ სამნიაშვილმა, იმ ცალხელა მოხუცმა მარტინ კუზნიჩ იუდინმა თუ ოსტატმა ივანე მასლოვმა, ინჟინრებმა, ოსტატებმა... თითქო სულ მცირე ხანი გავიდა... მას აქეთ, რაც ვარდიში ველისციხის სკოლის მერხს უჯდა, მაგრამ ახლა უკვე ცხოვრება გამოვლილი და გამოცდილი ვაჟკაცი — საბრძმედე საამქროს უფროსი ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი უზის მერხს...

ლამეა. გამოსასვლელი დღე მიიწურა. საამქროდან დარეკეს — ყველაფერი რიგზეა. უახლოეს საათებში არავინ გამოუძახებს. ახლა მოსვენებაც შეიძლება — მაგრამ, ორი კვირაა რაც ფირები არ გაუმჟღავნებია, ძველი ფირებიც დასაბეჭდია..



# ჩქარი მატარებელი



ოჭია იოსელიანი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი დ. ერისთავი

მემანქანის თანაშემწედ დავიწყე მუშაობა. ჩვიდმეტი წელი ის ის იყო შემისრულდა და, რადგან ჩვენი საერთო საცხოვრებელი ზედ რკინიგზის პირას იდგა, სადგურთან ახლოს, მემანქანეობა იყო ჩემი საოცნებო და საფიქრალი ძილსა და ღვიძილში.

ასე იყო თუ ისე, ამა'ა ამბისთვის არა აქვს მნიშვნელობა, ეს კია, რომ მოვეწყე მემანქანის თანაშემწედ და იმ დღესვე, რასაკვირველია, ორთქლმავალზე დავიდე ბინა.

ორთქლმავალი კი, როგორც მოგეხსენებათ, ოთხამოღებით ჭენებისთვისაა ამქვეყნად გაჩენილი და, ახლა რომ ხაშურშია, ერთ საათში მოლითის დაღმართში თავს ძლივს იკავებს, ზესტაფონში რომ გგონია, შიგ შუაგულ გვირაბში ქშინავს და ოხრავს.

მივდივართ ხან აღმა, ხან დაღმა, ხან რომელ სადგურში დავასობთ ფეხ'ა და ხან რომელ მოსახვევში დავაფრთხობთ რკინიგზის პირზე მობალახე თეთრხალებიან ძროხას. ხან მთის გულში ვარ, ხან მდინარეზე...

პირველსავე დღეს აღმოსავლეთისაკენ ავიღეთ გეზი.

მიქშინავს, მითუხთუხებს ჩვენი ვეშაპი და მიითრევს გრძელ კუდს. ვდგავარ შიგ და, ასე მგონია, ეს ვაგონები მე მკიდია მხარზე, მკიდია და მიმყავს, მივაქროლებ, არაფრადაც არ ვაგდებ, ვაგონებისა რა მცოდნია, ეს სადგური მომდეთ ზურგზე, ე'ა მთა ამკიდეთ მხარზე, ამ მდინარეს აღმა წავიყვან, ამ ცას, თუ მოვინდომე, ცალ ხელში დავიჭერ.

ორთქლმავალი მიდის, ექაჩება შემადგენლობას, ჩამოვწევ ბერკეტს, აკივლდება, შეიცხადებს, გაიფოფრება, დაფრთხებიან ჩიტები, ყვავები, მოკუნტრუშე ხბოები, ბავშვები ყურზე აიფარებენ ხელისგულებს, ჯაგზე მიბმული თიკანი აწყდება აქეთ-იქით.

ორთქლმავალი მიგრუხუნებს მთებს შორის, მიბრაგუნებს ხიდებზე და მიდის...

სოფელი, მდინარე, ყანები, ვენახები, ალვები, მუხები, ქალი, კაცი, ცა და მიწა... ჩემია ქვეყანა.

ვიქნევ ხელს, ქუდს, თავს, მთელი ზედა ტანით ვიხრები სარკმელში.

— გამარჯობათ, ხიდებო!

— გამარჯობათ, ბავშვებო!

— თქვენი სიცოცხლე, მუხებო, ვერხვებო!

— მთებო!

— კაცებო!

— გამარჯობათ, გამარჯობათ, ვენახებო!

მთის ფერდობზე ოდა მოჩანა, შორიდანვე კარგად ვარჩევ, ოდა ბოკონებზე დგას, საცალფეხო, უსახელურო კიბე აქვს მიდგმული. ოთახის ფანჯარა ღიაა, ეს წითელი რა უნდა იყოს ფანჯარაში?

მთა აიტუზა, გაქრა ოდა, ოთახის ფანჯარა... მაყვალი შეწითლებულა, აგერ აქვეა, ხელით მიწვდები.

— გამარჯობა, მაყვალო!

ისევ მთის ფერდობი, ოდა კარგად ჩანს, ფანჯარა ღიაა და რაფაზე შექოჭჯდარია წითელკაბიანი გოგონა, ცისფერყდიანი წიგნით.

— გამარჯობა, გოგონა! — ვიქნევ ხელს, თავს, ვიცინი. გოგონაც იქნევს წიგნიან ხელს, მიცინის, იწევს ფანჯრიდან, ისევ მიქნევ'ა ხელს.

მატარებელი მიქრის, გასცდა სახლს, საცაა თვალს მიეფარება გოგონა, მაგრამ არა, იგი აივანზე გამოდის, აივნის კუთხეში სვეტს ეხვევა, მარცხენა ხელით ეკიდება აქეთ, ჩემსკენ, და იქნევს ხელს, იქნევს...

მიდის მატარებელი...

ნახვამდის, გოგონა!

ეფარება თვალს ჯერ გოგონა, მერე სახლი, ეზო, ფერდობი, მატარებელი სალ კლდე'ა მისდევს, მე უკან ვიცქირები, თითის წვერებზე ვდგები, რაღაც კიდევ მინდა დავინახო.

მიდის მატარებელი, მიდის ქოთქოთით, ფიშფიშით, დავიდარაბით, ისევ სახლები, ხეები, მდინარე, ხიდი, ბავშვები, ხბოები, ვენახები... ვენახები.

ნელა გავიარეთ სადგური, ვუმატეთ სვლას და გადაიშალა წინ ისევ მაღალი მთები, დაბალი ჭალები, აქაფებული მდინარე. ისევ მიქნევენ ხელს, ისევ ისე ფრთხება პირუტყვი, ისევ ბიბინებს ფერდობზე ხასხასა ბალახი და ჟუჟუნა ყვავილები იღერებენ ყელს მდელოებზე.

საღამოს ვბრუნდებით უკან, ცისტერნების უშველებელ შემადგენლობას მოვათრევთ, მზე მიიწურა, ხევებში ბინდი წვება, ხიდებს ქვეშ სიბნელეს შეუფარებია თავი. მე ვიჩქარი, სადღაც მეჩქარება, რაღაც მიზიდავს წინ, არ ვიცი რა, არ ვიცი ვინ, მინდა კი ჩქარა, ჩქარა გავლიო გზა, მეშინია არ ჩამობნელდეს, აი სადგურიც. აგერ კლდეები, თითქმის თავზე გადმოხურული და უსიცოცხლო, ვიცქირები ფანჯარაში, ვიცქირები წინ, საცაა მორჩება ეს ლოდები და გამოჩნდება ფერდობი, ეზო, სახლი, ღია ფანჯარა...

არ დაადგა საშველი, რამდენი მთები გაუჭრიათ, რამოდენა კლდე გაუნგრევიათ.

აი ფერდობიც, რაღაც უფრო გალამაზებული და დამშვენებული, თურმე აქ რამდენი მინდვრის ყვავილი ყოფილა, თეთრი, წითელი, ბაიები, ჟუჟუნა მინდვრის ყვავილები. აჰა, ეზო, მთლიანად მწვანეში ჩაფლული, რაღაც მეტად მიმზიდველი, აქეთი ეზო არც იყო ამ რკინიგზის პირზე, არც ერთი სახლი, არც ერთი ფანჯარა.

მე ბერკეტს დავწვდი და მატარებელი გაბმული კივილით მიუახლოვდა ეზოს, ფანჯარა ღია იყო, მაგრამ არავინ ჩანდა, ორივე ხელს ვიქნევდი და ვიმედოვნებდი, გოგონა აქ სადმე ეზოში იყო და დამინახავდა. აი გოგონაც, ხელში ფოთლები უჭირავს, იქვე ბოჩოლას აწვდის და ეალერსება, გავარჩიე, როგორ მოაბრუნა თავი, მერე ერთბაშად მოტრიალდა, ორივე ხელი აიქნია, აიტაცა ფოთლები, გასწორდა, ისევ აიქნია ხელები.

ხელს ვიქნევ მეც და მიდის მატარებელი. მიდის ქშენით, რახრახით და ერთი აურზაურით. ქალიშვილი კი გაქრა, მიეფარა თვალს, ცხვირწინ მთა აიტუზა, მაყვალს ხელით მიწვდება კაცი.

დამთავრდა სამუშაო დღე. ელექტრონებით გაჩაღებულ სამორიგეოში შევედით. სადგური'ა უკან ფანჯარაში ბნელა, იქედან კი ვიღაც მიახლოვდება ერთიანად შავი და გამურული, ვერ ვიცანი... ნუთუ ეს მე ვარ, ერთიანად



შავად გალესილი და მოსვრილი, სულელურად გამეცინა. ვინ იცის რამდენჯერ შემოვსულვარ სამორიგეოში მუშაობის შემდეგ და არასოდეს არ შემინიშნავს, რომ კბილების მეტი აღარაფერი მქონია თეთრი, ნუთუ მაშინაც ასე მოთხვრილი ვიყავი? ნუთუ მაშინაც მარტო კბილები მიჩანდა? ნუთუ ასე გამიცნო გოგონამ.

იმ ღამესაც სახლში სულ ამაზე ვფიქრობდი.

მეორე დღეს მთელი ორი საათით ადრე გამოვცხადდი სამუშაოდ, გადავიცვი სპეცტანსაცმელი და ბაქანზე დავიწყე ბოლთის ცემა. მგზავრები საქმიანად მიმოდიოდნენ, ფუსფუსებდნენ, ბილეთების სალაროსთან გაუთავებელი რიგი იდგა. სამანევრო ორთქლმავალი აქეთ-იქით აწყდება და შემდგენელი პირში გაჩრილ სასტვენს აჭყვიტინებს, წითელქუდა მორიგე მძიმედ დააბიჯებს ბაქანზე, ან ტელეფონს უზის და მის გაუთავებელ მონოტონურ კაკუნს უგდებს ყურს.

დრო ზანტად გადის, დიდი საათის ისრები შეაცივდა ციფერბლატს. გამოჩნდა მემანქანე, არ ვიცი ასე რატომ გამიხარდა ამ კაცის გამოჩენა. როდის, როდის დაიძრა მატარებელი. მძიმედ, დაადგა გრძელ გზას, ჯერ ნელა გასრიალდა რელსებზე, თითქოს გაპარვას აპირებსო, მერე არახუნდა და მალე ჩვეული ბაქა-ბუქით გაუდგა გზა'ა. ხეები, მთები, მდინარე, ბავშვები, ხიდები, ხბოები, ტელეგრაფის ბოძები, ვენახები, შეწამლული ვენახები.

მიდის, მიდის ორთქლმავალი და ისევ.. სადგურები, სახლები და კორტოხები, ხიდები და ყვავილები.

მე წინ, სადღაც წინ, მიმირბის თვალები, ვიცი, ჯერ შორსაა ის ფერდობი, ოდა, ფანჯარა, მაგრამ არა, აგერ ამ მთას გავცდები და გამოჩნდება, ამ მოსახვევს გავივლი და დავინახავ. ამ ტყეს მოვიტოვებთ უკან და...

გავცდი მთას, მოსახვევს, ტყეს, მაგრამ ისევ მთა, დახვეული გზა და ტყე.

აჰა, გამოჩნდა ფერდობი, ოდა, ოთახი, ფანჯარა და... მოჩანს წითელი... წითელი კაბა, ისაა... ნამდვილად ისაა... მაგრამ ისევ აიტუზა მთა, მაყვალი შეწითლებულა, ხელით მიწვდება კაცი.

ისევ ფერდობი, სახლი ბოკონებზე, საცალფეხო უსახელურო კიბე, ფანჯა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ღიაა, სადაა გოგონა? აივანზე, გადმომდგარა, ხელში... ხელში თეთრი ხელსახოცი თუ თავსაფარი უჭირავს, იქნევს ხელს, მესალმება. ვიქნევ მეც, ვიცინი და ვგრძნობ, რომ მარტო თეთრი კბილები მიჩანს, ხელში ვიჭერ ქუდს, ვიქნევ მაღლა და მიდის მატარებელი, მირახრახებს ვაგონები, გოგონა გამორბის აივანზე, ეკიდება კუთხეში სვეტს მარცხენა ხელით და იქნევს თეთრ ხელსახოცს თუ თავსაფარს. მიდის მატარებელი.

ნახვამდის, ქალიშვილო!

საღამოს ისევ სვეტზე ჰკიდია მარცხენა ხელით და ახლაც ისევ იქნევს რაღაც მწვანეს.

დღე დღეს მისდევს, დილით ისევ ღია ფანჯარა მელოდება, საღამოსაც მელოდება, მესალმება, იქნევს ხელს, ქუდს, ხელსახოცს, თავსაფარს, ეკიდება სვეტს და ისევ იქნევს, მიცინის და მიცინის.

მიდის მატარებელი, მიქშინავს, მირახრახებს მიქოთქოთებს.

ყვითლდება, ფოთოლი, ცვივა, ცვივა უწყალოდ, უანგარიშოდ. მატარებელი იტაცებს, დგება კორიანტელი. მიდის მატარებელი და ისევ ფერდობი, ჩალისფერი სიმინდები, გამჭკნარი ყვავილები, ბარდშემწვარი ვენახები, ოთახი, ღია ფანჯარა, გოგონა ცისფერი ჟაკეტით, წიგნით, ხელსახოცით ან თავსაფრით, ვინ იცის რით, რაც ხელში მოჰყვება, რასაც ხელს წამოავლებს.

მე არ შემიძლია აქედან გავარჩიო, მაგრამ ვიცი, ძალიან კარგად ვიცი, მას ძალზე, ძალზე მოსიყვარულე თვალები აქვს, გრძელი წამწამები, უყვარს სიცილი, რა ვუყოთ, რომ მე კარგად ვერ ვარჩევ აქედან, ის უაღრესად საყვარელი გოგონაა, უყვარს უცნაური შემთხვევები, კითხულობს რომანებს, არ შეუშინდება ფათერაკს, ისე კი... ჩემზე ამბობს, ერთი გამურული ბიჭია, აქვს თეთრი, ძალიან თეთრი კბილები, და არის ყოველთვის თავიდან ფეხებამდე გამურული. აწივლებს ორთქლმავალს, იქნევს ხელებს, ქუდსაც აქნევს, აჩენს თეთრ კბილებს და მიდის, მიდის ჩქარა, ჩქარა...

თოვს წვრილად, წვიმაშეურევლად, გაუბედავად, უმატებს, ფარავს მიწას, იკიდება ფეხს და ისევ თოვს. თეთრი სახლები, თეთრი ხიდები, თეთრი მთები, ხეებიც თეთრი, თეთრი ფერდობი, თეთრი ოდა, ოთახი, ფანჯარა. დახურული, დახშული, მაგრამ ზედ წითელი ნაჭერი, გოგონა შინაა. გოგონა მიცდის მე, მიმელის... ვწევ ბერკეტს, იღება ფანჯარა, იქნევს ხელს, არა, წითელ ნაჭერს, პატარა ყურბალიშს, ხელსახოცს, რაც მოხვდება, რასაც წაასწრებს, გამოდის აივანზე, ეკიდება მარცხენა ხელით სვეტს სახლის კუთხეში და იქნევს ხელს.

მიდის მატარებელი.

ნახვამდის, ქალიშვილო!

და მე ვფიქრობ, არა ვამბობ, ვმღერი. გოგონას მაია ჰქვია, ძალზე საყვარელი თვალები აქვს, გრძელი წამწამები, უყვარს სიცილი და სიცილის დროს ლოყებზე პატარა ფოსოები უჩნდება, არ ეშინია სიცივის და შეუძლია მოთმინებით გელოდოს. ჩემზე კი ამბობს, ერთი შავი ბიჭია, თავიდან ფეხებამდე შავი და აქვს თეთრი კბილები...

დნება თოვლი, მოძვრება ფერდობზე ყოჩივარდები, ლურჯთვალა იები, მოდის გაზაფხული. მერე ზაფხული, მერე კიდევ შემოდგომა და მიდის დრო მატარებელივით სწრაფად, მაგრამ ჩუმად, უხმაუროდ.

მატარებელი კი მირახრახებს, მიხმაურობს.

ქალიშვილი ისევ მელის, ისევ აღებს ფანჯარას, ისევ იქნევს თეთრ ხელსახოცს, ცისფერ თავსაფარს, წითელ ხალათს, ყურბალიშს, რაც ხელში მოხვდება, რასაც მოასწრებს.

მემანქანედ გადავდივარ, ისევ გზა აღმოსავლეთისაკენ, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და მოლოდინი... ფერდობი ხან ყვავილებით, ხან თოვლით, და ქალიშვილი.

შვებულება, საგანგებოდ თავნაყარი ფული, კარგი მაკინტოში, მაკინტოშისავე ფერის ფეტრი, ჰალსტუხი, ჭრაჭუნა ფეხსაცმელი, ძვირფასი ფოტოაპარატი, მგზავრობა სახალხო მატარებლით, ისევ ეს მთა, ეს მდინარე, ის ხიდი, ეს ხე და ის ვენახი.

აი ფერდობი, ოდა ბოკონებზე, ოთახი, ფანჯარა, მაგრამ სადღაა გოგონა? არ მელის გოგონა, არ ელის სახალხო მატარებელს. უახლოეს სადგურზე გაჩერება, ბილიკები, აღმართი, დაღმართები, ყვავილების კრეფა, აპარატის ჩხაკუნი და დიდი, დიდი ხნის მოლოდინი შეხვედრისა.

ეზოში ავი ძაღლი, ქალიშვილის გამოხედვა, გაოცებული თვალები, უსახელურო კიბეზე ჩამორბენა და ჭიშკართან მოკრძალებული მოსალმება.

— მობრძანდით!

— გამარჯობა, მაია!

— ვერ გიცანით.

— ვერ მიცანით?

— ვერა, ვინ ბრძანდებით?

— მე.. მე ის, აი... მგზავრი ვარ, წყალი თუ შეიძლება.

— წყალი? მობრძანდით.

ბოდიშმოუხდელად შევდივარ ეზოში, აქ ხომ ყველაფერი ასე ნაცნობი და ახლობელია, ან რა საჭიროა ბოდიში?



—მობრძანდით, მობრძანდით, ახლავე მოგართმევთ ცივ წყალს, ახლავე.

ის სახლში შერბის, გამოაქვს ხელადა, უნდა გაიქცეს, მაგრამ...

მატარებელი მოქშინავს სადღაც ხევ-ხუვებში და ძლივს ჩანს ნისლისფერი ბოლი.

ქალიშვილს აღარც მე ვახსოვარ, აღარც წყალი და აღარც მასპინძლის მოვალეობა.

მატარებელი მოქშინავს, მოდის, მორახრახებს. გოგონა კიბეზე არბის, აღებს ფანჯარას, გამოდის აივანზე და ელის, ელის ორთქლმავლის გამოჩენას.

აი გამოჩნდა კიდეც, დაიმალა, აატუზა მთა, იქ მაყვალი იქნება, ხელით მიწვდება კაცი. აი ისევ გამოჩნდა, მოდის გოგონა, სახლში შერბის, ხელში თავსაფარი უჭირავს, ასწევს ხელს, უნდა დაუქნიოს. მაგრამ მაღლა შემართული ხელი უვარდება, ორთქლმავლის მემანქანეს თავი ფანჯარაზე უდევს, თვალები დაბლა მიწისთვის მიუსვია, ვინ იცის, რაზე ფიქრობს მემანქანე, ყველას ხომ თავისი საფიქრალი აქვს.

ქალიშვილს ხელიდან გაუვარდა თავსაფარი, შევარდა ოთახში და მე გავიგონე, როგორ ქვითინებდა, ალბათ, ბალიშზე დაცემული.

ფრთხილად, ფრთხილად ჩამოვიპარე კიბეებზე, ეზოდან გამოვედი, დავეშვი თავქვე, მატარებლისთვის აღარ დამიცდია, მანქანით გავბრუნდი უკან, პირდაპირ სადგურის უფროსთან შევვარდი და უარი ვთქვი შვებულებაზე.

მე ახლა კარგად ვიცი, რომ ქალიშვილს მაია ჰქვია, აქვს მოსიყვარულე თვალები, სიცილის დროს ლოყებზე ფოსოები უჩნდება და უყვარს მოლოდინი.

ჩემზე კი...

ჩემზე ამბობს, ერთი თავიდან ფეხებამდე გამურული ბიჭია და... ჰო, ერთი გამურული ბიჭია და აქვს თეთრი კბილები.



შოთა ნიშნიანიძე

## მე და შენ ერთნი ვართ

მე კვირტი შენი, შენ ფესვი ჩემი,
შენ ღერო ჩემი რტოებმრავალი,
ჩასახულია შენს კვირტში თვლებით
ჩემი წარსულიც და მომავალიც.
მე ლერწმის ღერო — შენ ბაგე ჩემი,
შენ სუნთქვა ჩემი სულისჩამდგმელი,
შენი წყალობით და შენი ნებით
მსურს ვიგალობო ჩემი სათქმელი.
შენ ხარ მდინარე, მე შენი ტალღა,
შენს ყოველ წვეთში მე ვარ ჩაწნილი,
შენს უსრულებელ წიაღში გაღვა
ეს ჩემი ყოფა ჩემი ნაწილი.
შენს სავსეობას არა აქვს ბოლო
და ორი სუნთქვა ერთმანეთს ერთვის,
რომ მე — ეს შენ ხარ,
შენ კი — მე მხოლოდ,
მე და შენ თურმე ერთნი ვართ ერთნი.

ოთარ შალამბერიძე

## ს ა ლ ა მ უ რ ი

აგალობებულ გაზაფხულის ჟამს
სანატრელ სიკვდილს ლერწამი ელის, —
რადგან ის მღერის,
რადგან ის მღერის
დიდ სიცოცხლეზე..
სიკვდილის შემდეგ

* * *

აგდევნებია მზე დალალ-დალალ
აგდევნებია და მიხარია
გამფატრის შენმა ღიმილის დანამ,
ღიმილისფერი დღე და დარია.
აგდევნებია მზე თალარ-თალარ
აგდევნებია და მიხარია.

## მ ე ლ ო დ ე

ტყეში,
წყაროსთან,
ხავსიან ქვაზე
ამოჭრილია სიტყვა — „მელოდე".
ვინ მიატოვა ძეკაცი ასე..
ან..,
სიყვარული ვით განმეორდეს...
ვდგავარ და ვსუნთქავ
ტყის მწვანე დუმილს,
ლურჯი შორეთი ცას დაბინდვია;
თითქოს მიაქვთო მიცვალებული —
ღრუბლები ისე ზანტად მიდიან...
საით გაფრინდა ის სილამაზე
ჩემს გულს რომ უნდა ახლდეს ბოლომდე..
მაგრამ აქ,
ტყეში,
ხავსიან ქვაზე
წყაროს ცრემლებით სტირის „მელოდე".

# სტუმრად მეჩაიეებთან



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზ. იაშვილი

მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოწინავე მეჩაიეთა რესპუბლიკურ თათბირზე მიღებულ იქნა ვალდებულება, რათა 1958 წელს მოკრიფონ და ჩააბარონ სახელმწიფოს 127 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაი — 19 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

ქართველმა მეჩაიეებმა ვადაზე ადრე შეასრულეს ჩაის კრეფისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა, დადგნენ კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის შრომითი ვახტზე — მოკრიფეს რესპუბლიკაში სუბტროპიკული კულტურის მეურნეობის მთელი ისტორიის მანძილზე ხარისხოვანი ჩაის ყველაზე დიდი რაოდენობა. ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის მოკრიფეს და ჩააბარეს ფაბრიკებს გადასამუშავებლად 133 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მრავალმა რაიონმა, კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ და ცალკე კოლმეურნეებმა გადაჭარბებით შეასრულეს გეგმები.

განსაკუთრებით კარგი შედეგები აქვთ სოცშეჯიბრების ინიციატორებს — აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებს. მათ ერთი თვით ადრე შეასრულეს გეგმა და გეგმაზე ზევით ჩააბარეს სახელმწიფოს მრავალი ათეული ტონა ჩაის ფოთოლი.



მთელ რესპუბლიკაში მოკრეფილი ჩაის ფოთლის მეხუთედი ეკუთვნის მახარაძის რაიონს.

გეგმას გადააჭარბეს აჭარამ, ზუგდიდის, ტყიბულის, ქუთაისის, წყალტუბოს, წალენჯიხისა და სხვა რაიონებმა.

ჩაის ფაბრიკებმაც სასახელოდ იმუშავეს. მათ დროულად გადაამუშავეს უამრავი ნედლეული.

ჩაის ფოთლის კრეფა დასრულდა. მაგრამ პლანტაციებზე ისევ გაცხოველებული მუშაობაა. პარტიის XXI ყრილობისადმი მიძღვნილი ვახტა გრძელდება. მეჩაიეები იბრძვიან, რათა განახორციელონ სკკპ ცეკას და სსრკ მინისტრთა საბჭოს ივნისის დადგენილება საქართველოში ჩაის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ.

1965 წლისათვის რესპუბლიკაში ჩაის პლანტაციების ფართობი 70 ათას ჰექტარამდე უნდა გაიზარდოს. ჩაის ფოთლის დამზადება კი მიაღწევს 170 ათას ტონას.



ფოტოზე (ზემოდან ქვემოთ): 1. გალის რაიონის სოფ. ოქუმის ლენინის სახ. კოლმეურნეობის ცნობილი მეჩაიე სოციალისტური შრომის გმირი ბრიგადირი ქ. ბულესკირია (მარჯვნივ) ამოწმებს მოკრეფილ ჩაის ფოთლის ხარისხს. 2. ინგირის ჩაის ფაბრიკაში. 3. ჩაისმკრეფი მანქანები კიროვის სახელობის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში.

ფოტო — საქდესის ფოტოქრონიკის

## ომარ ხაიამი

* * *

ჩემსა და ღვინის შუა ძმობის ძაფი გაება,
ულვინოდ ლხინი ჩემთვის არის ტანჯვა-ვაება,
მითხრეს, ღვინის სმა მორწმუნე კაცს არ შეჰფერისო,
მე მსმელი ვარ და ღვინო არის ჩემი ღვთაება...

* * *

ერთ დროს ეს ჩემი ხელადა ტრფობისგან ჩემებრ ღელავდა,
ლამაზი ქალის ნაწნავებს ჰმონებდა გაუმხელადა,
ხელი რომ უდევს დოინჯად, ასე არ ჰქონდა ძველადა,
მიჯნურის ყელზე ეხვია ლაღად და უდარდელადა...

* * *

შენი დროც წავა, ვერ გიშველის ვეღარც ალაჰი,
სული მოწყდება სხეულს როგორც სუსტი ბალახი,
და ამ ჩვენს თავებს ცოტა ხანში წიხლებს ჩასცემენ,
სადოქე თიხად რომ აზილონ ჩვენი ტალახი...

* * *

ხაიამ, სვი და მუდამ ლალის ღვინით იხარე,
მშვენიერ ქალთან ლაღობით და ლხინით იხარე,
თუ ეს ქვეყანა არარაა ბოლოს და ბოლოს
დაჰგმე არარა და, რაც არის, იმით იხარე...

* * *

ჰე, მეჭურჭლენო, რომ გართულხართ ამ მიწის ზელით,
დაგჩლუნგებიათ თქვენ გონების მახვილი მჭრელი,
ეგ მიწა, ასე გამწარებით რომ ურტყამთ წიხლებს, —
ოდესღაც იყო მშვენიერი ქალწულის წელი...

* * *

როცა ფესვები სიცოცხლისა დამიდუნდება,
და ზედ სიკვდილი დამედება მძიმე ხუნდებად,
ღვინის ჭურჭელი გააკეთეთ ჩემი მიწისგან,
აავსეთ ღვინით და სიცოცხლე დამიბრუნდება...

* * *

მე იმ ლამაზს მივტირი, დავალ როგორც ეული,
მას კი სხვისი დარდი აქვს გულზე შემოსეული,
ჩემი გულის განკურვნა როგორ უნდა მოვთხოვო,
როცა ჩემი მკურნალი თვითონ არის სნეული...

* * *

ადექ, ჭაბუკო, განთიადის მოვიდა ჟამი,
ლალისფერ ღვინით შენც აღავსე ეგ ბროლის ჯამი,
ერთი წამია საგანძური ამა ცხოვრების,
ბევრიც რომ სძებნო, ვერ იპოვნო მეორე წამი...

* * *

ახლა, როს ვარდებს ცეცხლი აქვთ მწველი,
შენ ჯამთან უქმად რად გიდევს ხელი,
დალიე, თორემ დრო გიმტრობს მალე
ასეთ დღის პოვნა გახდება ძნელი...

* * *

როს გაზაფხული იას ახალ კაბებს მიაყრის,
და განთიადზე ვარდებს დაჰბერს სიო სიახლის,
ბრძენია იგი, ვინც ილაღებს თეთრგულა ქალთან,
ღვინოს დალევს და ფიალას კი — ქვაზე მიახლის...

* * *

ამაღამ ჯამი მსურს ავწიო უზარმაზარი,
ღვინით მდიდარმა ბედისწერას დავცე თავზარი,
მსურს სამუდამოდ გავეყარო რჯულსა და რწმენას,
ვაზის ასული გვერდით მყავდეს ვით პატარძალი...

* * *

აუსრულებლად თუ დაგვრჩება ყველა სურვილი,
რას გამოიღებს ჩვენი ცდა და ცოდნის წყურვილი,
გვიან მოვდივართ ამ ქვეყნად და მივდივართ უმალ,
ავბედითობით აღსავსეა გზა მიწურვილი...

სპარსულიდან თარგმნა
**ვახუშტი კოტეტიშვილმა**

# ლუკიანე თაბუკაშვილი უკრაინაში

უკრაინაში, სამოქალაქო ომების წლებში, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ მშრომელი მასების თავისუფლებისათვის, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ამჟამად ჩვენ გვინდა გავიხსენოთ ლუკიანე თაბუკაშვილის რევოლუციური მოღვაწეობა უკრაინაში.

დიდი ხანია მსურდა მომეძებნა ადამიანები, რომლებიც იცნობდნენ თაბუკაშვილს, ანდა მისი თანამებრძოლები იყვნენ. ბოლოს ბედმა გამიღიმა და, როგორც იქნა, შევხვდი უკრაინელ რკინიგზელს, ეროვნებით ბელორუსს, ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე ავდეევს. ლენინის ორდენოსანი რკინიგზელი მუშა, რომელსაც მუშაობის 40 წლის სტაჟი აქვს, მონაწილეობას იღებდა სამოქალაქო ომში.

— ლუკიანე თაბუკაშვილს, — მოგვითხრობს ავდეევი, — მე ვიცნობდი იმ დროიდან, როცა იგი სამხრეთ-დასავლეთ რკინიგზაზე სადგურ კოროსტენში მუშაობდა სადგურის მორიგედ. ამ თანამდებობაზე მოუსწრო 1918 წლის სრულიად უკრაინის გაფიცვამ, მაშინ უკრაინა გმინავდა გეტმანშჩინის უღელქვეშ. უკრაინელი ხალხი არა მარტო თავისი მაგნატების, არამედ ვილჰელმის ჯარების მიერაც იყო ექსპლოატირებული.

რკინიგზელები აუტანელ გაჭირვებას განიცდიდნენ. სამი თვის განმავლობაში არ ეძლეოდათ ხელფასი. ბოლოს ველარ მოვითმინეთ და სადგურიდან სადგურს მოედვა გაფიცვა. მთელ რკინიგზაზე შეჩერდა მოძრაობა. ადგილებზე არჩეულ იქნა საგაფიცვო კომიტეტები. ერთ-ერთ კომიტეტში არჩეულ იქნა ლუკიანე თაბუკაშვილიც. კოროსტენში ამ კომიტეტს დიდხანს არ უარსებნია. მთელი შემადგენლობა დაიჭირეს და უკრაინის გარეთ საკონცენტრაციო ბანაკში გააწესეს. დატყვევებულ იქნა თაბუკაშვილიც. ამან არ შეაშინა რკინიგზელები. ბრძოლა გრძელდებოდა. თაბუკაშვილი გაიქცა ბანაკიდან და დაუბრუნდა თავის საცხოვრებელ ადგილს, იმალებოდა იატაკქვეშ. მალე გაფიცვები აჯანყებაში გადაიზარდა, ამ ადგილებიდან განდევნილ იქნენ გერმანელები. სადგურ კოროსტენში შეადგინეს ჯავშნიანი მატარებელი. რა თქმა უნდა, იგი მართლაც „ჩალის“ ჯავშანი იყო, როგორც მაშინ ეძახდა ხალხი. იგი შედგებოდა უბრალო ვაგონებისა და რკინის ბაქნებისაგან. ამ ჯავშანოს პირველი მეთაური ლუკიანე თაბუკაშვილი იყო. ჯავშანოს მთელი ეკიპაჟი რკინიგზელებისაგან შედგებოდა. სამხედრო საქმეში ეს ხალხი ძალზე გამოუცდელი იყო. მაგრამ აღტყინება ეხმარებოდა მათ და ისინიც წარჩინებით ებრძოდნენ მტრებს — პეტლიურელებს, გეტმანს, პოლონელებს, დენიკინელებს. იმ დროს წითელი არმია და მუშათა კლასი ამზადებდა უფრო გაუმჯობესებულ ჯავშნიან მატარებლებს. და აი კიევში, ქარხანა „ბოლშევიკში“, დაამზადეს ჯავშანო ახალი ტექნიკით. ამ მატარებლის ჩასაბარებლად წავიდა თაბუკაშვილი მთელი თავისი ეკიპაჟით. მალე ბრძოლებში წარჩინებისათვის თაბუკაშვილს ჩააბარეს მთელი ჯავშნიანი კოლონის მეთაურობა, ბოლოს იგი მე-14 არმიის რევოლუციური საბჭოს წევრადაც აირჩიეს.

ხალხს თაბუკაშვილი ახსოვს, როგორც უშიშარი მებრძოლი. როცა ჯავშანო გაემგზავრებოდა ფრონტზე, ლუკიანე ყოველთვის წინ იდგა, იგი ბრძანებებს იძლეოდა მატარებლის მოძრაობისათვის, არ ერიდებოდა ყუმბარების სკდომას. მისი ეკიპაჟი გამოირჩეოდა ბოლშევიკური დისციპლინით. უფრთხილდებოდა მებრძოლებს, ცდილობდა მათ გამოწრთობას.

როგორც ბოლოს გავიგე, ორი წლის შემდეგ ლუკიანე წასულიყო საქართველოში თავისი ძმის სანახავად. და იქ დაღუპულა.

მე მაინტერესებდა, თუ როგორი ახსოვდა ავდეევს ლუკიანე გარეგნულად.

— მას ქართული ჩოხა-ახალუხი ეცვა, უკან წითელი ჩაბალახი ჰქონდა მოგდებული, თავზე ბოხოხი ეხურა. ატარებდა პარაბელუმის სისტემის რევოლვერს. სად იშოვა ეს იარაღი, არ ვიცი. სულ თან კი ატარებდა. ლუკიანე საშუალო ტანის კაცი იყო, ოცდაათი წლის თუ იქნებოდა. მაღალი ხმა ჰქონდა. როცა იგი ბრძანებებს იძლეოდა ჯავშანოსთან ახლო მდგომი, გაჰკიოდა, იცოდა ყვირილი, განსაკუთრებით სროლის დროს. უყვარდა ჩქარი ცეცხლი, მაგრამ იგი ამას ეძახდა „ზედიზედ“. გაჰყვიროდა: „აბა, ზედიზედ, სხვა არაფერი არ ვიცი, არ მინდა ვიცოდე“.

მე კიდევ მეტი მინდოდა მცოდნოდა ამ ლეგენდარულ მებრძოლზე. ვცდილობდი მისი თანამებრძოლის და ახლო ნაცნობისგან ახალი რამ გამეკო და შევეკითხე:

— თქვენ როგორღაც საუბარში ხუმრობით წარმოთქვით, თუ როგორ უყვარდა მას უდისციპლინო მებრძოლის დაშინება, მაგრამ ისე, რომ არ გადაემეტებია.

— ასეთი ამბებიც იყო ხოლმე. ხანდახან მისი ეკიპაჟიდან თუ სადმე წავიდოდა ვინმე და ისე მოიქცეოდა რომ მათი ეკიპაჟის პრესტიჟს დასცემდა — მათ მიმართ სასტიკი იყო... უყვირებდა „მე შენ გაგათავებ, მე შენ დაგხვრეტ“ — თანაც დასძენდა: „დაგიჭერ და გაგაგზავნიო“. ბოლოს კი ეს ყველაფერი კარგად მთავრდებოდა. მებრძოლებს ესმოდათ მისი, სჯეროდათ მისი და ამიტომ იყო რომ დიდი წარმატება ჰქონდა ყოველთვის.

— რომელ რაიონში მოქმედებდა მისი ჯავშანო და შემდეგ ჯავშნიანი მატარებლების კოლონა? — შევეკითხე ავდეევს.

— მისი ჯავშანოს მოქმედების არე კოროსტენის მიდამოები იყო. კოროსტენი კი ისეთი საკვანძო სადგური იყო, საიდანაც გზები მიემართებოდა სარნის, კიევის, ჟიტომირის, კალინკოვიჩისა და შეპეტოვკისაკენ.

კოლონაც იმავე მიდამოებში მოქმედებდა. აქ ერთი ჯავშანო რას გაწვდებოდა. მეტად საპასუხისმგებლო ფრონტი ჰქონდა ჩაბარებული. სარნიდან მოიწევდნენ პოლონელები, შეპეტოვკისა და ჟიტომირიდან აწვებოდნენ პეტლიურელები, კიევიდან კი მაშინ დენიკინის ჯარი მოქმედებდა. აი აქ ამოქმედებდა თავის ჯავშნიან კოლონას, რომელშიაც ოთხი ჯავშანო შედიოდა.

როგორც საუბარში გამოირკვა, იგი არასოდეს არ ყოფილა დაჭრილი, მასთან სხვა ქართველი არავინ ყოფილა, მისი ჯავშანოების ეკიპაჟში უმთავრესად უკრაინელები შედიოდნენ.

ლუკიანე თაბუკაშვილი თავგამოდებით უყვარდათ მის მებრძოლებს სიმამაცის, უშიშროებისა და იმისათვისაც, რომ ყოველგვარ სახიფათო მდგომარეობიდან შეეძლო გამოეყვანა ჯავშანოსნები და მებრძოლი ხალხი.

დმიტრო კოსარიკი

# პატარა ბაღის ბილიკებიდან დიდ ბაღნარამდე

ქეთევან ანანიაშვილი

„სულ მალე ჩვენი დედაქალაქი მწვანე წალკოტად გადაიქცევა", — ამბობს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის თბილქალაქპროექტის მთავარი არქიტექტორი ნელი ციციშვილი და ქალაქის გამწვანების პერსპექტიულ გეგმას გვიჩვენებს.

ფანქრის წვერი ნაზად დასრიალებს ქაღალდის ზედაპირზე და იმ ადგილებს მოხაზავს, სადაც უხვად დაღვრილა მწვანე საღებავი.

„აქ პარკი აშენდება: ახოვანი, მწვანე მცველები გაუჩნდება თბილისის ზღვას; აქ კი, სადაც საბურთალოს გაუშლია მხრები, მცირე ხანში ახალი ბაღნარის აყვავების მოწმენი გავხდებით".

შევცქერით ამ სინაზითა და მომხიბვლაობით სავსე ქართველ ქალს, მის ფიქრიან სახეს, ადრე დათოვლილ თმებს და ვფიქრობთ რატომღაც, რომ სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო ჩვენი ჭაღარა დედა თბილისის მრავალი შესანიშნავი ბაღისა და პარკის ნიჭიერი შემოქმედი.

საუბარს ნელის ბავშვობაში გადავყავართ...

ზურმუხტის ზღვაში ჩაფლულა ქართლის სოფელი ქვემო-ხვედურეთი. ლამაზი სახლ-კარის ირგვლივ შემოვლებულ თვალწარმტაც ბაღში, სადაც ნაირფერადი ყვავილები ერთმანეთს გასჯიბრებიან სიკეკლუცეში, პატარა გოგონა დაცქრიალებს.

ძალიან უყვარს პატარას ეს ბაღი, ეს ყვავილები — მისი ნაზი მეგობრები. ან კი როგორ არ უყვარდეს, როგორ არ მოსწონდეს ასე საკვირველად მშვენიერი! მისი წინა, დეკორატიული ნაწილი ხომ მიხეილ მამულაშვილმა გააშენა თავისი ხელით, ხოლო დიდედა ელენემ მზრუნველად გაახარა და გაამშვენა.

ნელიმ თვლა და ანგარიში ვარდის ბუჩქებზე ისწავლა.

წერა-კითხვა და ხატვა იით დაიწყო. „ია" წამოიძახა და იქვე ჩაიხატა რვეულში.

ბუნებისა და ხატვის სიყვარული ნელის ქართლის სოფლიდან ქალაქშიც გაჰყვა.

დიდის მონდომებით აფორმებს იგი კლასის შემოქმედებითს ჟურნალს, რომელსაც მისი ინიციატივით „ყლორტი" დაერქვა სახელად.

ზამთრის ერთ მყუდრო საღამოს, ნელი რომ გატაცებით ხატავდა ჟურნალის მორიგ ნომერს, თავზე ჩუმად მისი მშობლების მეგობარი მხატვარი ალექსანდრე ციმაკურიძე წამოადგა, დაუკვირდა ნახატს, მოეწონა და ნელი მოსე თოიძის ახლად ჩამოყალიბებულ სტუდიაში წაიყვანა.

1926 წელი დიდი სიხარულისა და მღელვარების წელი იყო ნელისათვის: იგი სამხატვრო აკადემიის ხუროთმოძღვრების ახლად გახსნილი ფაკულტეტის სტუდენტი ხდება.

შრომით, წვითა და ხალისით, მუდმივი ძიებით იყო აღსავსე სტუდენტობის დაუვიწყარი ხანა. ეს იყო ოციანი წლები — წლები ახალი ქართული საბჭოთა ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების დადგენისა, მშობლიური ხელოვნების გზების განვითარებაზე ფიქრი არ ასვენებდა მოწინავე ახალგაზრდობას.

აკადემიის კედლებშივე გადაწყდა სასიქადულო სტუდენტ-სტიპენდიანტის ნელი ციციშვილის პროფესიის ბედ-იღბალი. სხვა სტუდენტებისაგან განსხვავებულად საკურსო პროექტების გეგმები მას დამუშავებული ჰქონდა მწვანე ნარგავთა მეტის აქცენტირებით. ეს საინტერესო თავისებურება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მის პედაგოგებს:

„ქაჯან, შენს პროექტებში რომ მწვანე ნარგავებს ასე გულმოდგინედ ხატავ, გირჩევ, ახლა ქალაქისათვის მოიფიქრო ზოგიერთი ადგილის დეკორატიული გაფორმება და დაეხმარო თბილისის საბჭოსთან არსებულ საბაღო სექციას ჩვენი დედაქალაქის გამწვანებასა და დეკორირებაში", — უთხრა ქალაქის მთავარმა ინჟინერმა გრიგოლ ზაქარიას ძე ქურდიანმა, როდესაც თავის კაბინეტში თავისივე სტუდენტი, ახალგაზრდა პრაქტიკანტი მოიხმო.

ასე დაიწყო ნელი ციციშვილის საქმიანობა თბილისის მწვანე მშენებლობის დარგში.

აი, ვხედავთ, როგორ დასრიალებს იგი მწვანე ზოლს საქართველოს მუზეუმის წინ, რუსთაველის პროსპექტზე, თეთრი ყვავილების ქართული ორნამენტით ამკობს მას. აგერ, კოპწია სკვერით ამშვენებს ელბაქიძის დაღმართს, და აი უკვე 1931 წლის კონკურსში გამარჯვებული 21 წლის ქალიშვილს კიროვის პარკის ტერიტორიაზე ვხვდებით.

პირველად აქ იგრძნო ახალგაზრდა არქიტექტორმა შემოქმედებითი სიხარული, იგრძნო კოლექტივის ცხოველმყოფელი ძალა, სიყვარული შრომისადმი.

კიროვის პარკის პროექტში პირველად გამოვლინდა ახალგაზრდა არქიტექტორი ქალის იშვიათი ნიჭი და მომავალში მას ავტორს მეტი პასუხისმგებლობაც დააკისრა. ნელი ციციშვილი კვლავ თითქოს სტუდენტობას უბრუნდება: 1932 წელს მას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ვხედავთ, ბაღ-პარკების ისტორიის ლექციებით გატაცებულს, უფრო გვიან კი სოხუმის სუბტროპიკულ ინსტიტუტში, სადაც ის მწვანე მშენებლობის ფაკულტეტზე საჭირო დისციპლინებს ეუფლება. გამოჩენილი მწვანე მშენებელი ლუნცისაგან მაღალ შეფასებას იმსახურებს მისი სადიპლომო ნამუშევარი — პროექტი სანატორიუმისა და მისი 30-ჰექტარიანი ტერიტორიის პარკისა.

ჩვენ კვლავ ნელი ციციშვილის შემოქმედებითი გამარჯვებების გზას მივყვებით: მწვანე ქამარი შემოივლო მტკვრის სანაპირომ, მედიდური მშვენებით გამოანათა ფუნიკულიორის პლატოზე სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკმა თავისი გაშლილი ტერასებით.

ომის პერიოდში დროებით შეჩერებული მწვანე მასივების ზრდა, შემდგომ ისევ გაგრძელდა და თბილისში შეიქმნა ვაკის პარკი. ამ პარკის პროექტის ავტორი ნელი ციციშვილია!

რამდენი სტუმარი, რამდენი სპეციალისტი აღუფრთოვანებია მთაწმინდის ჩრდილო კალთაზე, კუს ტბის ნაპირას გადაშლილ მწვანე სიგრილეს.

„ამ იშვიათ ადგილზე, სადაც ჰოხერხებულად არის შემოწყობილი ლამაზი ფერადი მთის ტბის სილამაზესთან, ჩვენ გვინდოდა შეგვექმნა ხელოვნების ნამდვილი ნიმუში", — განაგრძობს არქიტექტორი ქალი.

და მართლაც, ეს პარკი ერთ-ერთი ძვირფასი მარგალიტია საპარკო მშენებლობისა.

ტყუილად კი არ გამოითხოვეს ლიტველმა მწვანის მშენებლებმა პარკის დენდროლოგიური გეგმა, რათა მის ყაიდაზე აეგოთ ქალაქ კაუნასში თავისი ახალი კულტურისა და დასვენების პარკი.

დაუღალავია ნელი ციციშვილი თავის მუშაობაში: ის ხან ბორჯომპარკშია — თვალყურს ადევნებს ორჯონიკიძის სახელობის პარკის რეკონსტრუქციას, რომელიც მისი პროექტით წარმოებს, ხან წყალტუბოსათვის წრიული გზის გამწვანების პროექტს ადგენს და ადგილზევე აპროექტებს და რკალავს სადგურის წინ მდებარე მოზრდილ სკვერს, ხან ლანდშაფტური დენდროპარკის პროექტზე მუშაობს, როგორც მთავარი პროექტორი და საპროექტო ჯგუფის უფროსი, და ვინ იცის, სად არა სწვდება ამ შესანიშნავი ქალის ძალღონიანი ნიჭის ნაპერწკალი.

ქართველი არქიტექტორი ქალის აზრს ანგარიშს უწევენ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში. მას ხშირად უგზავნიან სარეცენზიოდ სადისერტაციო ნაშრომებს მწვანე მშენებლობის ცნობილი არქიტექტორები.

ხშირად ნახავთ ნელი ციციშვილს სხვადასხვა ქალაქებიდან გამოგზავნილი ამანათებით გახარებულს: ამ ამანათებშია ცნობილი საბჭოთა არქიტექტორების — მიხეილ კორჟევის, ანატოლი დოლგანოვის, მარია პროხოროვას, ელენე ჩაუსისა და ნელი ციციშვილის პირველი რეცენზენტის — ლეონიდე ლუნცისაგან გამოგზავნილი წიგნები, ზოგი მათი რედაქტორობით გამოსული, ზოგი კი უცხოეთისა.

მუდმივი მიწერ-მოწერა აქვს ნელი ციციშვილს თავის საქმიან მეგობრებთან. იგი სათუთად ინახავს მათს წერილებს. მაინც ყველაზე მეტად თავის ბაღის მუშა-მეგობრების წერილები უყვარს, მუშა-მეგობრებისა, რომლებიც მას ესაუბრებიან, როგორც დედას, დასა და შვილს. ბაღის მუშამ ანასტასია ალხიაშვილმა იცის, რომ ნელი არა მარტო მუშაობაში დაეხმარება, თუ დასჭირდება, პირად საქმეშიაც გულისხმიერებას გამოიჩენს და მზრუნველობას გაუწევს.

ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდება. ზევრი დრო წავართვით უამრავი საქმით დატვირთულს. ის მაინც თავაზიანი ღიმილით გვიყურებს და, თითქოს მიგვიხვდაო, გვეუბნება: თქვენ, ალბათ, ყვავილების მსოფლიო გამოფენა გაინტერესებთ? ვემზადებით, ვემზადებით და... ვღელავთ. ქართველმა სპეციალისტებმა ხომ ახლა ქალაქ პარიზში, საქართველოს გარდა, უნდა წარმოვადგინოთ საბჭოთა კავშირის სამხრეთი მხარის ექსპოზიცია. ყვავილების საკავშირო გამოფენაზე გამარჯვებამ დაგვაკისრა ეს დიდი პასუხისმგებლობა. და ნელის აგონდება, როგორ მოხიბლა გამოფენაზე საქართველოს კუთხემ მნახველები, როგორ მიიღეს I ხარისხის დიპლომი, როგორ ულოცავდნენ მას და უებრო მაცოცხლ დეკორატორ მიხეილ მამულაშვილს უცნობი მეგობრები.



# მიხეილ თამარაშვილი

შოთა ლომსაძე

მიმდინარე წელს აღინიშნა ისტორიკოს მიხეილ თამარაშვილის დაბადების 100 წლისთავი. ამ თარიღს მიეძღვნა პუშკინის სახელობის ინსტიტუტის სამი კათედრის გაერთიანებული სხდომა. სხდომაზე განსაკუთრებით საინტერესო იყო მ. თამარაშვილის თანამედროვისა და მასთან უცხოეთში ნამყოფი კონსტანტინე საფარიშვილის მოგონება.

მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი დაიბადა 1858 წ. ქ. ახალციხეში. მისი მამა ღარიბი ახალციხელი ხელოსანი იყო. მომავალმა ისტორიკოსმა წერა-კითხვა „ვინმე მესხის" ფსევდონიმით ცნობილ ივანე გვარამაძის ოჯახში შეისწავლა. ამავე ოჯახში გაუღვივდა მას ინტერესი საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებისადმი.

ივანე გვარამაძე XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამართლიანად ითვლებოდა კათოლიკე ქართველების მოძღვრად. გასული საუკუნის 50-იან წლებში პ. ხარისჭირაშვილმა ქართველ კათოლიკეთათვის კონსტანტინეპოლში დააარსა სპეციალური სასწავლებელი. მ. თამარაშვილი ამ მოძრაობის ატმოსფეროში გაიზარდა და მისი ღვიძლი შვილი და ყველაზე უფრო თავგამოდებული მებრძოლი გახდა.

თამარაშვილმა ახალციხის საქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა კონსტანტინეპოლის ხსენებულ სასწავლებელში განაგრძო; შემდეგ კი რომსა და პარიზში გადავიდა. ბოლო დროს მას დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა. თამარაშვილების ოჯახი მესხეთში განთქმული იყო სწავლა-განათლებით. ახალციხის ძველ ნაწილ რაბათში დღესაც დგას თამარაშვილისეული მესხური დარბაზი და სანიმუშოდ არის იგი შენახული. გადმოცემით ამ დარბაზს, ერთ დროს, თავს აფარებდა არსენა ოძელაშვილი. ეს ფაქტი თითქმის შეუფერადებლად აღწერილი აქვს მწერალ მიხეილ ჯავახიშვილს თავის რომანში „არსენა მარაბდელი".

1888 წ. თამარაშვილი რომიდან თბილისში ჩამოვიდა.

მ. თამარაშვილსაც, ისე როგორც ი. გვარამაძეს მიაჩნდა, რომ ეკლესია თავის არსში წმინდა თეოლოგიურ საკითხებს გარდა ეროვნული ისტორიის პროპაგანდის საკითხებსაც ითავსებდა. ამ რწმენით გაუღენთილი მოძღვარი არ შეიძლებოდა არ წასწყდომოდა 80-იან წლებში შექმნილ დიდმპყრობელურ ბარიერებს და შოვინისტთა დევნის საგანი არ გამხდარიყო.

პირველი შეხლა მას საქართველოს კათოლიკეთა ეკლესიის უფროს ვიზიტატორ პრელატ ორლოვსკისთან მოუხდა, რომელმაც უარი უთხრა თბილისში მღვდელმსახურების შესრულებაზე და ბოლოს ზოგიერთის დაბეზღებითა და მტრობით თამარაშვილს თბილისში ცხოვრება აეკრძალა. დედაქალაქიდან განდევნილი თამარაშვილი ახალციხეში ავიდა და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მამისეულ სახლში ათიოდე თვე დაჰყო. შემდეგ კი იძულებული გახდა ახალციხესაც გასცლოდა და უცხოეთში გადახვეწილიყო. თამარაშვილმა რომში ჩასვლისთანავე სწავლა განაგრძო. ვატიკანის წიგნთსაცავში მუშაობისათვის ნდობა და უფლება მოიპოვა და თავაუღებელი შრომით განცვიფრებაში მოიყვანა ყველა. მან ვატიკანის, რომის, პარიზის, დიდი ბრიტანეთის, კონსტანტინეპოლის, ტრაპიზონის არქივებსა და წიგნთსაცავებში საქართველოს შესახებ მრავალი ცნობა შეჰკრიბა. ბევრ მათგანს კომენტარი დაურთო და გამოაქვეყნა. ამ ხნის განმავლობაში მან შეისწავლა: ბერძნული, ლათინური, იტალიური, ფრანგული, ესპანური, ინგლისური, გერმანული, რუსული, თურქული, სომხური ენები. გამოაქვეყნა ბევრი წერილი ქართულს, იტალიურს თუ ფრანგულ ენებზე.

მ. თამარაშვილმა ამოცანად დაისახა გაეშუქებინა და გაერკვია ისტორიული საკითხი ქართველთა კათოლიკობის შესახებ. პასუხი გაეცა იმ დროს სხვადასხვა პრესაში წამოჭრილ ზოგიერთ ბუნდოვან შეხედულებებისათვის და დაედგინა გამთიშავი ზღვარი რელიგიასა და ეროვნებას შორის.

ამ მიმართებით მან საკმაოდ მრავალი დოკუმენტი მოიძია კათოლიკე მისიონერების წერილებისა თუ სხვათა სახით და 1902 წ. გამოსცა



ფუნდამენტური ნაშრომი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის".

ეს იყო მთელი დავა ქართულს ისტორიოგრაფიაში, რომლის გამოსვლითაც ჩვენი ისტორიული მეცნიერება მთელი თავით ამაღლდა. გაზეთი „ივერია" ამ წიგნს განიხილავდა, როგორც „საქართველოს შინაურის ცხოვრების და პოლიტიკური მდგომარეობის ისტორიას"; მას „მეორე „ქართლის ცხოვრებას" უწოდებდა და მის ავტორს ქება-დიდებით იხსენიებდა. ამ წიგნმა იმთავითვე ქართველი მეცნიერების: დ. ბაქრაძის, ალ. ხახანაშვილის, მ. ჯანაშვილის და სხვათა აღფრთოვანება გამოიწვია და მის ავტორს ჩვენს მეცნიერებაში უკვდავი სახელი დაუმკვიდრა.

1903 წ. გამოქვეყნდა მ. თამარაშვილის მეორე სქელტანიანი ნაშრომი, სადაც დაზუსტებულია რელიგიურ-ეთნიკური და სხვა საკითხები.

აღსანიშნავია მ. თამარაშვილის მაღალმეცნიერული და სწორი მეთოდოლოგიური კვლევა. იგი ყოველგვარ საკითხს ატარებდა მტკიცე საბუთიანობის ქარცეცხლში და ყველაფერს ისტორიულ მოვლენათა მთლიანობაში იხილავდა.

მიხეილ თამარაშვილს ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა საქართველოს ისეთ გამოჩენილ ადამიანებთან როგორიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ს. მესხი, მ. ჯანაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, დ. ბაქრაძე, ი. გვარამაძე და მრავალი სხვა. საქართველოს გარეთ მისი ყოფნის მიუხედავად თამარაშვილი ყოველთვის ერის მოწინავე შვილთა რიგებში იდგა და მუდამ მის აქტიურ მებრძოლად ითვლებოდა.

1910 წ. ფრანგულ ენაზე გამოვიდა მისი უზარმაზარი ნაშრომი საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე, რამაც დიდად გაუთქვა სახელი ევროპის მრავალი ქვეყნის მეცნიერებში. სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში მის შეფასებას, აურაცხელი წერილი მიეძღვნა.

როგორც ცნობილია, თვითონ თამარაშვილი ხელმოკლეობის მიუხედავად, დიდ ეკონომიურ თუ სულიერ მზრუნველობას იჩენდა უცხოეთში ჩასულ ყველა ქართველისადმი (ამას ამოწმებენ თ. სახოკია, ს. ქვარიანი, ალ. ცაგარელი და სხვა). თამარაშვილის ბინა (მას რომში საკუთარი სახლი ჰქონდა) ქართველი ახალგაზრდობის ნამდვილ თავშესაფარს წარმოადგენდა. როცა გ. თამარაშვილმა აკაკი წერეთლის პარიზში ჩასვლის ამბავი გაიგო, არაფერი დაიშურა იმისათვის, რომ ღირსეულ მამულიშვილს შესაფერისად დახვედროდა. მისი მეთაურობით ქ. რომში პოეტის პატივსაცემად ჩატარდა საღამო, რის შემდეგ აკაკის პარიზში ჯამახსოვრო ადრესი მიერთვა.

მ. თამარაშვილს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, მარტო ვახუშტისეული „ქართლის ცხოვრების" ხელნაწერის აღმოჩენით ვატიკანის ბიბლიოთეკაში და მისიონერ ქრისტეფორე კასტელის ჩანახატების ალბომის აღმოჩენით (137 სურათი), რის მიხედვითაც ვიცით ჩვენ თეიმურაზ II-ის, გიორგი სააკაძისა და სხვათა სახეები, — მარტო ამისათვის იქნებოდა იგი ღირსი პატივისცემისა და დაფასებისა. აღსანიშნავია ისიც, რომ აურაცხელ ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად მანვე მონახა უცხოეთში საკმაოდ ბევრი ფოლკლორული მასალა, მრავალი ნიმუში გადმოწერა და გამოაგზავნა საქართველოში.

უკანასკნელ ხანებში იგი მუშაობდა საქართველოს პოლიტიკური ისტორიის დასაწერად უცხოური წყაროების მიხედვით, რის შესრულებაც მან ვეღარ მოასწრო. საფიქრებელია, რომ მისსავე არქივში, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებშია დაცული, შეიძლება აღმოჩნდეს დაწერილი ნაწილი ამ ისტორიისა.

1911 წ. სექტემბერში ჟურნალ „განათლება" იტყობინებოდა: „ენკენისთვის ორს იტალიაში, ზღვისპირას მდებარე სოფელ სანტა-მარინელლას, ზღვის მსხვერპლი შეიქმნა ჩვენი ცნობილი ისტორიკოსი და უანგარო მამულიშვილი მიხეილ თამარაშვილი ანუ თამარათი. თურმე იმ დღეს განსვენებული დასეირნობდა ზღვისპირად; სხვებთან ერთად დაუნახავს, რომ ზღვაში იღრჩობოდა ვილაც უცნობი. კივილზე მამა თამარაშვილი მიშველებია გადასარჩენად. ის გადარჩენილა და თამარაშვილი კი დაღუპულაო".

დაიღუპა ყველასათვის უკეთილშობილესი ადამიანი, სათნო მოძღვარი და სახელგანთქმული მეცნიერი. იტალიის საზოგადოებრიობამ პატივი სცა მის ხსოვნას. იგი დიდის ამბით დაკრძალეს ამავე სოფლის ეკლესიის ეზოში და ზედ დაადგეს მარმარილოს ძეგლი იტალიური და ფრანგული წარწერით: აი ეს წარწერაც „აბატი მიქელ თამარათი. გამოეხმაურა რა დასაღუპავად განწირულის ძახილს, თვით დადო თავი და დაიღუპა ერთგული თავისი მოვალეობისა სანტა მარინელას ტალღებში 1911 წლის 16 სექტემბერს. სამარადისოდ დარჩება ხსოვნა მისი ტრაგიკული გმირობისა, ხსოვნა მისი სათნოებისა".

ამის შემდეგ თამარაშვილის არქივი მისმა ახლობლებმა და ნათესავებმა ათას თაბახზე მეტი მოცულობით თბილისში ჩამოიტანეს და შთამომავლობას შეუნახეს.



ს. მურადიანი
მოხუცები



საქართველოს სამხატვრო გალერეაში მოეწყო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ახალგაზრდა მხატვრების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფერწერის, ქანდაკებისა და გრაფიკის 400-მდე ნიმუში. ექსპონატები ასახავდა საბჭოთა ქვეყნის და განსაკუთრებით ამიერკავკასიის რესპუბლიკების დღევანდელ დღეს, ამ რესპუბლიკების მიღწევებს, ხალხის ყოფა ცხოვრებას, პეიზაჟების თავისებურებას.

ჩვენი ჟურნალის ჩანართ გვერდებზე ვაქვეყნებთ აზერბაიჯანელ, სომეხ და ქართველ ახალგაზრდა მხატვრების ნიმუშების ფოტორეპროდუქციებს.

ა. გრიგორიანი
„ანუში“

ს. მურადიანი — არაგაცი



ელექტრონული ბიბლიოთეკა



დ. ერისთავი
გასეირნება



დ. ნოდია
რუსთავი



ე. ამაშუკელი
მოჭიდავე

ეროვნული ბიბლიოთეკა



თ. მირზაშვილი
თევზაობა

თ. მირზაშვილი — ზღვისპირას



ეროვნული ბიბლიოთეკა



თ. სალახოვი — ინდუსტრიული ბაქო



ტ. ნარიმანბეკოვი
ახალი ცხოვრებისაკენ

# სამხედრო ხელოვნება „ვეფხისტყაოსანში“

ივ. შაიშმელაშვილი

უკვდავი შოთა რუსთაველი სამხედრო ხელოვნების იმდენად კარგი მცოდნეა, რომ მის „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი ყველა მნიშვნელოვანი სამხედრო მოვლენა, სპეციალური თვალსაზრისით, ეჭვმიუტანელი და დასაბუთებულია.

დიდი მხედართმთავრისათვის შესაფერი სიზუსტით იცის რუსთაველმა ყოველგვარი მასშტაბის ომების მიზნების, მიზეზებისა და გეგმების დამუშავება, მათი დაწყებისა და მსვლელობის ფორმები, თავისი დროისა და ადრინდელი ეპოქების ტაქტიკა და სტრატეგია.

ამ მხრივ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ქვემოთ მოყვანილი შედარებითი აღწერა ორი დიდი ომისა, რომელთაგან ერთი აღწერილი აქვს რუსთაველს, როგორც ინდოეთსა და ხატაეთს შორის მომხდარი, ხოლო მეორე ნამდვილად მოხდა ჩინეთსა და ჰუნებს შორის ძვ. წ. ა. მე-2 საუკუნის შუა წლებში.[1]

## 1. ომის წინაპერიოდის ურთიერთობანი.

ხატაეთი ინდოეთის „სახარაჯო“ ქვეყნად ქცეულა, მაგრამ მისი მმართველები მალულად განაგრძობენ სიმაგრეთა აღდგენასა და დიდი არმიის ჩამოყალიბებას, — გვამცნობს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი.

ამ გზით ხატაელთ შეუქმნიათ სასაზღვრო სიმაგრეებისა და „ქვიტკირების“ (426,3) მთელი სისტემა, რის გამო მტერს აღარ შეეძლო მათი ქვეყნის ფარგლებში შეჭრა, სანამ არ სძლევდა ამ დაბრკოლებას; თვით ტარიელმაც კი ვერ შებედა, ვიდრე მეციხოვნენი არ განაიარაღა:

„ციხოვანნი ერთობილნი ჩემს წინაშე
მოვიყვანენ,
ხელთა მომცეს სიმაგრენი“-ო, (458, 2, 3)
„მაშინღა შევე ხატაეთს“-ო

აღიარებს იგი.

ცხადია, რომ ხატაელთა ეს საეჭვო სამზადისი შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ინდოეთის მმართველთათვის, ამიტომ ისინი ტარიელის პირით სასტიკად აფრთხილებენ ხატაეთის ხანს:

„სჯობს რომე გვნახნე, თავისა სისხლსა ნუ
ეზიარებით“-ო,

მაგრამ, ეტყობა, რომ ინდოელთ ცოტა დაგვიანებიათ. მომძლავრებული ხატაეთის ხანი რამაზი ქედმაღლურად პასუხობს:

„ამის მეტსა ნუმცა ვნახავ კვლაღა წიგნსა
შენ-მიერსა“

რაც იმას ნიშნავს, რომ ძველი ურთიერთობის აღდგენა უსისხლოდ აღარ მოხერხდებოდა. ამიტომ ინდოეთში სასწრაფოდ დაიწყო „წვევა ლაშქართა“.

ხატაელთ კი ლაშქარიც მზად ჰყავდათ და შესანიშნავი სტრატეგიული გეგმაც დამუშავებული ჰქონდათ.

ჩინეთსა და ჰუნებს შორის მომხდარი ომის ისტორიის მიხედვით ჩინეთის ჩრდილო პროვინციები, რომელთაც ძველად ხატაეთიც ეწოდებოდა, აღწერილი ომის წინ, ჰუნების ლაშქრის განუწყვეტელი და გამანადგურებელი თავდასხმების ობიექტს წარმოადგენდნენ.

მოუსვენარი და ულმობელი მტრებისაგან თავდაცვის მიზნით ჩინეთის ძველმა მმართველებმა ჯერ კიდევ 214 წელს (ძვ. წ. ა.) დაიწყეს უზარმაზარი კედლის აგება, რომელიც შემდგომში 2300 კილომეტრზე იყო გადაჭიმული და 40 ათასამდე სხვადასხვა დანიშნულების კოშკს შეიცავდა. ვიდრე სიმაგრეები მომზადდებოდა, ჰუნები განაგრძობდნენ სისხლისმღვრელსა და დამარბეველ ლაშქრობას.

ფაქტიურად ხატაეთი (ჩინეთის ჩრდილო პროვინციები) ჰუნების „სახარაჯო“ ქვეყნად იყო გამხდარი. ჰუნების წარმატებების საფუძველი იყო მათი საუკეთესოდ გაწვრთნილი ცხენოსანი არმია, ჩინელებს კი მხოლოდ ქვეითი ლაშქარი ჰყავდათ. ძვ. წ. ა. მე-2 საუკუნის შუა წლებში ჩინელებმა მოახერხეს ჰუნებთან დაზავება და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მზადებას თავიანთ მოსისხლე მტრებთან გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

ზავის პერიოდში არც ჰუნები დამცხრალან. მცირე რაზმებით განაგრძობდნენ ხატაეთის ტერიტორიაზე შემოჭრას, როგორც ჩანს, უმეტესად დაზვერვის მიზნით.

ამ პერიოდში ჩინეთს სათავეში უდგა უ-დი. მან მოახერხა უზარმაზარი არმიის შექმნა, სასაზღვრო სიმაგრეთა წესრიგში მოყვანა და ჰუნების განადგურების სტრატეგიული გეგმაც დაამუშავა.

## 2. რამაზ ხანისა და უ-დის სტრატეგიული გეგმები

პოემიდან მთელი სიცხადით ჩანს, რომ ხატაელთ განზრახული ჰქონდათ ინდოეთის არმიის შეტყუება საამისოდ მომზადებულ გიგანტურ მახეში, მისი გარშემორტყმა და სრული განადგურება.

ამ მიზნით მათ თავისი არმია ორ ნაწილად გაუყვიათ და საგულდაგულოდ ჩაუსაფრებიათ, ცხადია, იმ რაიონში, რომელშიც მათი გულუბრყვილო მსხვერპლი უნდა შემოსულიყო. ასეთი იყო ხატაელთა სარდლობის ძირითადი იდეა.

უ-დის სტრატეგიული გეგმის დედააზრი იმაში მდგომარეობდა, რომ შეეტყუებინათ ჰუნების არმია საამისოდ წინასწარ გამზადებულ მახეში, გარშემორტყმოდნენ და მთლიანად გაენადგურებინათ იგი.

ამ მიზნით თავისი მრავალრიცხოვანი არმია საგანგებოდ ჩაასაფრეს საზღვრის ახლოს, ქალაქ მა-ჩენგის მიდამოებში, რომელთანაც ქვემოთ აღწერილი მიზეზების გამო, მართლაც უნდა მოსულიყო ჰუნების ლაშქარი.

## 3. ომისწინა მოლაპარაკების შინაარსი და მიზნები

მაგრამ, როგორ უნდა შემოეტყუებინათ მტერი სახელდობრ იმ რაიონში, სადაც რამაზ ხანის არმია იყო ჩასაფრებული. ამ მიზნით ხატაელებმა გამოიყენეს თვალთმაქცური მოპატიჟება-მოლაპარაკება.

ამ პროგრამის გადამწყვეტ მომენტს, ჩვენის აზრით, წარმოადგენს ციხე-ქალაქის უომრად შეთავაზება, რომლის რაიონშიც, ალბათ, ჩასაფრებული იყო რამაზ ხანის 130 ათასიანი არმია.

ეს დიდი და მოულოდნელი დათმობა ინდოელთათვის საკმაო უნდა ყოფილიყო ხატაელთა მობოდიშება-მონანიების მაცდურობის შესახამებლად; ინდოელნი თამამად უნდა გადასულიყვნენ ხატაეთის ტერიტორიაზე სახელდობრ იმ მიმართულებით, რომელიც შეთავაზებულ ციხე-ქალაქზე გადიოდა. აი მოვუსმინოთ თვითონ ტარიელს:

„რამაზის კაცი მემთხვია, ვინ ხატაეთის ხანია,
მან მითხრა მოციქულობა გულისა მოსაფხანია“
„მე შემომძღვნეს რამაზისგან ძღვნად საჭურჭლე
საშინელი“
„რაცა შეგცოდეთ, შეგვინდევ, თვით ჩვენვე
შეგვინანია“
„ჩვენ მოგცეთ ციხე-ქალაქი, მოგყვნენ ცოტანი
ყმანია“

ტარიელმა მაინც მიმართა მრჩეველთ და ერთგვარის სიფრთხილით განაგრძო გზა ელჩის კვალდაკვალ.

მის წინ, ხატაელთავე ნებით, სიმაგრეთა სისტემაში გაღებული კარი იყო, აქედან იწყებოდა ინდოელთათვის საბედისწერო გზაც.

უ-დის სტრატეგიული განზრახვების შესრულებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, თუ კი ჰუნების ბელადი არ გამოუძღვებოდა თავის არმიას ციხე-ქალაქი მა-ჩენგისაკენ, სადაც ჩასაფრებული იყო ჩინელების მრავალრიცხოვანი ლაშქარი.

მაგრამ რა ხერხი უნდა ეხმარათ უაღრესად ფრთხილი და მარდი ჰუნების ლაშქრის მოსატყუებლად?

ამ მიზნით უ-დიმ მოციქულები მიუგზავნა თავის მომავალ მსხვერპლს.

მოციქულთა სათავეში ვაჭარი იყო, რომელმაც, უეჭველია, არა ნაკლებ „საშინელი“ საჭურჭლე მიართვა ჰუნთა ბელადს. მოციქულს დავალებული ჰქონდა ყოველი ღონე ეხმარა ჰუნების სიფხიზლის მოსადუნებლად. მისი მოლაპარაკების პროგრამის მთავარ პუნქტს შეადგენდა ტერიტორიული დათმობის, კერძოდ, ციხე-ქალაქ მა-ჩენგის უსისხლოდ გადაცემის საკითხი.

თუ რატომ, სახელდობრ, მა-ჩენგზე იყო ლაპარაკი, მკითხველებისათვის უკვე გასაგებია: სხვა მიმართულებით ჰუნების შეტყუებას არავითარი აზრი არ ჰქონდა.

ჰუნების ბელადი დაეთანხმა უ-დის მოციქულთა პირობებს და რჩეული ლაშქრით ერთგვარის სიფრთხილით, გზას დაადგა. ჰუნებმა გაიარეს დიდი კედლის ჰიშკრებში, გზადაგზა ახლომახლო კოშკების მცველნი განაიარაღეს და კვლავ მიიწევდნენ წინ. შორს აღარ იყო მა-ჩენგი, მაგრამ ახლოვდებოდა მათი საშინელი განსაცდელის ჟამიც.

## 4. რამაზ ხანისა და უ-დის გეგმების ჩაშლა

ფრთხილად მიიწევდა წინ ტარიელი თავისი მცირე და რჩეული ავანგარდით. მას კვლავ და კვლავ ეგებებოდნენ რამაზის ახალ-ახალი მოციქულები. ჩასაფრებული არმია კი მხოლოდ ნიშანს ელოდა, რათა მეხივით დასტეხოდა თავს დანდობილად მომავალ ინდოელთა ლაშქარს. მაგრამ რამაზის მუხანათურ გეგმას ბედი არ ეწერა, მისი ერთ-ერთი მოციქულთაგანი გამცემი აღმოჩნდა. იგი ქურდულად მოსწყდა თანამგზავრებს, ეახლა ტარიელს და საიდუმლოდ მოახსენა:

„რომე ცუდად არ მოღორდე, ისი კაცნი
გლალატობენ,
ერთგან შენთვის დამალულნი სპანი ასჯერ
ათასობენ
...„კვამლსა შეიქმენ ლაშქარნი ყოველგნით
მოგეხვევიან“-ო, და სხვ.

ტარიელისათვის ყველაფერი ცხადი გახდა. დიდი მადლობა-დაპირებებით გაისტუმრა უცნობი, სასწრაფოდ აფრინა კაცი მთავარი ძალებისაკენ:

...„ფიცხლად წამოდით, მოგრაგნეთ მთა და
გორიაო“,

ხოლო თვითონ, დაუყოვნებლივ, ჩაება ბრძოლაში. მაგრამ, როცა გამოვიდნენ ხატაელთა ჩასაფრებული ჯარები, ომში უდრეკი და ზღაპრული გამბედაობის მქონე ტარიელი ეჭვმა შეიპყრო:

„მოვა მტერი საშინელი, შეგვაშინა ამად ამან,
ნუთუ სრულად ამოგვწყვიდნეს უთვალავმან
ბევრმან სპამან“

და მართლაც მხოლოდ მთავარი ძალების დროზე მოშველებამ გადაარჩინა იგი განადგურებას.

ჩაიშალა რამაზ ხანის გეგმები, ტარიელის ლაშქარმა სასტიკად დაარბია ხატაეთი და კვლავ „სახარაჯო“ ქვეყნად აქცია იგი.

---

[1] სტროფები და სტრიქონები მოგვყავს „ვეფხისტყაოსნის“ 1951 წლის აკადემიური გამოცემით (გვ. 80-100). ისტორიული ომი ჩინეთსა და ჰუნებს შორის კი გადმოცემულია პროფესორ გენერალ-მაიორ ე. ა. რაზინის შრომის „История военного искусства“-ს მიხედვით (მოსკოვი, 1955 წ.), ტ. I, თავი „Военное искусство и военные теории древнего Китая.“

ჰუნების რჩეული ცხენოსან-მეისრეებისაგან შემდგარი მრავალრიცხოვანი ლაშქარი უკვე დიდი კედლის სამხრეთით იყო. მა-ჩენგამდე 50 კილომეტრი დარჩათ. თვალთვალისა და დაზვერვის გარეშე უფროდაუფრო სახიფათოდ ეჩვენებოდათ ჰუნებს შემდგომი წინსვლა.

და აი ისინი უეცრად შესდგნენ, შემდეგ დროებით უკუიქცნენ. უ-დი და მისი ჩასაფრებული არმია საგონებელს მიეცემოდნენ ჰუნების ამ საეჭვო სიფრთხილით. მაგრამ უკვე გვიან იყო, ჩინელების მთელი სტრატეგიული გეგმა გასცა ერთ-ერთმა ჩინელმავე მეციხოვნეთა უფროსმა. მან დიდი მადლობა და სამსახურში აღზევება დაიმსახურა ჰუნების მხრით, ხოლო უ-დი გაცეცხლებული დაეძებდა დამნაშავეს: ბრძანება გასცა თავისი არმიის სარდლის დაპატიმრების შესახებ, მაგრამ უკანასკნელმა თავი მოიკლა.

უ-დის ლაშქარი გამოვიდა საფარებიდან, ეცადა დასდევნებოდა და გაენადგურებინა ჰუნები, მაგრამ, როგორც ვთქვით, გვიან იყო. ამის შემდეგ ჰუნებმა გაორკეცებული ძალით დაუწყეს აოხრება ჩრდილო ჩინეთის (იმდროინდელი ხატაეთის) პროვინციებს, რამაც განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მიიღო ძვ. წ. ა. 127 წლისათვის და კვლავაც „სახარაჯო“ ქვეყნის მდგომარეობაში ჩააყენა ჩინეთი.

საკითხავია, იცნობდა თუ არა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ძველი ჩინეთის სამხედრო ხელოვნების ისტორიას, იყო თუ არა საინტერესო ეს ისტორია და რა გზებით შეეძლო მოეღწია რუსთაველამდე წყაროებს ამ ისტორიის შესახებ?

ჩინეთის სამხედრო თეორეტიკოსები საქვეყნოდ ცნობილი იყვნენ ჯერ კიდევ ძველი ბერძნებისა და რომაელებისათვის.

მსოფლიოში ცნობილ სამხედრო ხელოვნების შესახებ ჩვენამდე მოღწეულ წერილობითს წყაროებს შორის პირველია სუნ-ძის სამხედრო ტრაქტატი (დაახლ. 500 წ. ძვ. წ. ა.). ეს ტრაქტატი ჩინეთის არმიაში სახელმძღვანელოდ რჩებოდა მთელი ოცდაოთხი საუკუნის მანძილზე (მე-19 საუკუნის პირველ ნახევრამდე) და ბევრ საყურადღებო დებულებას შეიცავს.

ამ სამხედრო ტრაქტატში, სუნ-ძი, სხვათა შორის, ასეთ დარიგებას იძლევა: გამარჯვების მისაღწევად საჭიროა თავისი ძალების განლაგების საიდუმლოდ შენახვა; მტერს უნდა უძლურად მოეჩვენო, რათა გაათავხედო იგი; ომს მოიგებს ის მხარე, რომელიც შესძლებს თავის შეკავებას დარტყმისაგან მანამდე, სანამ მტრისათვის მოულოდნელი არ იქნება ეს დარტყმა და სხვ.

სუნ-ძისა და სხვა ჩინელი სამხედრო თეორეტიკოსების შრომები კარგად იყო ცნობილი ჩინეთს გარეთ, მაგრამ მათი კარგი მოწაფეები მაინც მონგოლი დამპყრობლები იყვნენ. მონგოლებმა ოსტატურად გამოიყენეს თავიანთი მასწავლებლების რჩევები, პირველ ყოვლისა, თვით ჩინეთის დაპყრობისას, შემდეგ კი — შუა აზიის, ახლო აღმოსავლეთის, ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დასაპყრობად.

საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, თითქოს რუსთაველი, თავისი დროის უგანათლებულესი პიროვნება, ხალხთა ისტორიის შესწავლისას, გვერდს აუვლიდა სამხედრო ხელოვნების, კერძოდ — უძველესი სამხედრო ხელოვნების ისტორიის შესწავლას. იგი იძულებული იყო მიემართნა ცოდნის ამ დარგისათვისაც, რადგან უამისოდ შეუძლებელი იყო შეექმნა ცოტად თუ ბევრად რეალური სქემები იმ ფართო მასშტაბის ომებისა თავისი დროის დიდი ქვეყნების შორის, რომლებიც აღწერილია „ვეფხისტყაოსანში“.

ის ფაქტიც, რომ რუსთაველის ეპოქამდე 14 საუკუნის წინ მომხდარი ომის საერთო მონაცემები (ზემოაღწერილი ომი ჩინეთსა და ჰუნებს შორის) ასე ახლო დგას „ვეფხისტყაოსნის“ „დიდი ომის“ საერთო სქემასთან, — ამ აზრის კიდევ ერთ დასაბუთებად მიგვაჩნია.



# ცხოვრება და სიკვდილი მეფე ჯონისა

**ისტორიული ქრონიკა***

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მოქმედება IV. სურათი III.**

ნორთემპტონი. ციხე-დარბაზის წინ. (კედელზე გადმოდგება არტური).

**არტური**

რა მაღალია ეს კედელი! მაინც ჩავხტები.
კეთილო მიწავ, შემიბრალე და ნურას მავნებ!
არავინ მიცნობს ამ მხარეში და თუნდ მიცნობდეს,
ეს გემის ბიჭის ტანსაცმელი მაინც დამმალავს.
ძეშიაია კი, მაგრამ მაინც უნდა გავბედო,
უნდა ძირს ჩავხტე და ფეხები არ დავიმტვრიო;
მერე კი ათას გზას მოვნახავ, ძირს ჩავალ ოდეს;
აქ დარჩენას სჯობს, რომ გავიქცე და გზაში მოვკვდე.
(ჩახტება დაბლა)
ოჰ, ბიძაჩემის ხასიათის ყოფილა ქვები;
ზეცავ, მიიღე ჩემი სული, ინგლისო, — ძვლები! (კვდება)
შემოდიან **პემბროკი, სოლსბერი და ბიგოტი.**

**სოლსბერი**

ედმუნდსბერიში შევხვდები მას, დიდებულებო,
ხსნა ესღა არის; ამ საშიშ დროს ის დაგვრჩენია,
რომ დავეთანხმოთ მის მადლიან წინადადებას.

**პემბროკი**

ვინ მოიტანა ეს წერილი კარდინალისგან?

**სოლსბერი**

კეთილმა ფრანგმა დიდებულმა, გრაფმა მელენმა,
თანაც დოფინის სიყვარულზე ჩვენს საუბარში
მიამბო მეტი, ამ წერილში ვიდრე სწერია.

**ბიგოტი**

მაშინ ხვალ დილით შევხვდეთ ბარემ სალაპარაკოდ.

**სოლსბერი**

ახლავ დავიძრათ, წინ ორი დღის სავალი გვიძევს,
ვიდრე მივაღწევთ მის სამყოფელს, დიდებულებო (შემოდის ბასტარდი).

**ბასტარდი**

კვლავ გამარჯობა, დიდებულნო განრისხებულნო,
ხელმწიფე გითვლით, საჩქაროზე მოდითო ჩემთან.

**სოლსბერი**

ხელმწიფემ თვითონ უარგვყო ჩვენ და მის დაძონძილ,
ბინძურ მოსასხამს გარს არშიას არ შემოვავლებთ
ჩვენი სახელით; არც მივყვებით ფეხდაფეხ იმას,
ვინც თავის გზაზე სისხლის კვალს სტოვებს. დაბრუნდი
და ასე უთხარ: უარესიც შეუტყვიათ-თქო.

**ბასტარდი**

მაინც, მგონია, ტკბილი სიტყვა სჯობდა პასუხად.

**სოლსბერი**

არა ზრდილობა, — მწუხარება გვალაპარაკებს.

**ბასტარდი**

მწუხარებისთვის აღარა გაქვთ დიდი მიზეზი,
ამიტომ დროა ზრდილობაზეც იფიქროთ ცოტა.

**პემბროკი**

სერ, სერ, თავისი უფლება აქვს მოუთმენლობას!

**ბასტარდი**

ეგ მართალია: უფლება აქვს დაგაზიანოს.

**სოლსბერი**

ეს არის ციხე. (დაინახავს არტურს)
ეს ვიღაა, აქ? ეს ვინა წევს?

**პემბროკი**

სიკვდილო, ძალგიძს იამაყო მეფურ მშვენებით!
მიწას არა აქვს ხვრელი, რომ ეს საქმე დამალოს.

**სოლსბერი**

მკვლელობამ, თითქოს თავის საქმე თვითონვე სძაგდა,
შურისძიების მოწოდებად ეს მოგვივლინა.

**ბიგოტი**

მან, ვინც გასწირა საფლავისთვის ეს სილამაზე,
ჰპოვა: მეფური სილამაზე საფლავს არ ჰფერობს.

**სოლსბერი**

სერ რიჩარდ, ახლა რაღას ფიქრობ? სთქვი, ასეთი რამ
გინახავს სადმე, წაგიკითხავს, გაგიგონია,
ან გიფიქრია? ან უჯერებ საკუთარ თვალებს?
რომ არ გენახა, განა ამას მოიფიქრებდი?
აი, მწვერვალი უმაღლესი, გვირგვინთ გვირგვინი,
აი მკვლელობის იარაღის შავბნელი საქმე;
აი, სირცხვილი სისხლიანი, უველურესი
მხეცობა, ხანჯლის დაკვრა ზურგში უსაზიზღრესი,

---

* გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“ პირველად ახორციელებს დიდი ინგლისელი მწერლის — შექსპირის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას ქართულად. უახლოეს ხანში გამოვა V ტომი, რომელშიც შედის შექსპირის ცნობილი ისტორიული დრამები „ცხოვრება და სიკვდილი მეფე ჯონისა“, „რიჩარდ II“ (თარგმანი გ. გაჩეჩილაძისა) და „ჰენრი IV“ (ორივე ნაწილი — თარგ. ვ. ჭელიძისა). ვბეჭდავთ გ. გაჩეჩილაძის თარგმანის ნაწყვეტს.

რაც კი ოდესმე ბრმა რისხვასა ან ბოროტებას
მოუტანია სინანულის ცრემლთა წინაშე.

**პემბროკი**

ყველა წარსული მკვლელობანი ფერმკრთალდებიან;
მხოლოდ ეს არის ერთადერთი, სწორუპოვარი;
ის მიანიჭებს სიწმინდეს და უმანკოებას
მომავალ ჟამთა მძიმე ცოდვებს, ჯერ არ ჩადენილთ.
თვით სისხლისღვრაც კი გახუმრებად მოგვეჩვენება,
თუ შევადარებთ ამ ზარდამცემ სანახაობას.

**ბასტარდი**

ყოვლად წყეული სისხლიანი საქმეა იგი,
შეუბრალებლად, მძიმე ხელით აღსრულებული,
თუკი ვისიმე ხელის საქმე არის ეს მართლაც.

**სოლსბერი**

თუკი ვისიმე ხელის საქმე არისო მართლაც?
ჩვენთვის ადრევე იყო ცხადი, რაც მოხდებოდა.
ჰუბერტის ხელის სამარცხვინო საქმეა ესა,
ხოლო ბრძანება და მიზანი მეფისა გახლავთ.
სულს ავუკრძალავ მორჩილებას ხელმწიფისადმი
და მუხლს მოვიყრი ამ უნაზეს ნეშტის წინაშე,
შთავბერ ჩემს სულთქმას მის უსულო მშვენიერებას,
ვით წმიდა აღთქმის, ჩემი ფიცის საკმეველს წმიდას,
რომ არასოდეს არ ვიგემო სოფლის სიამე,
არც ამქვეყნიურ ნეტარებას მივანდო თავი
და არ ვიცოდე მოსვენება და უქმად ყოფნა,
ვიდრე დიდებას ეს მარჯვენა არ მოიპოვებს,
შურისძიების სამსხვერპლოზე აწ მიტანილი.

**პემბროკი, ბიგოტი**

ჩვენ ვადასტურებთ საზეიმოდ შენს წმიდა აღთქმას.
(შემოდის ჰუბერტი)

**ჰუბერტი**

დიდებულებო, თქვენს ძებნაში ჩამოვწყდი სწორედ;
არტური ისევ ცოცხალია; მეფე გეძახით.

**სოლსბერი**

ო, ეს თავხედი, თვით სიკვდილიც კი არ აწითლებს!
იქით მიდექი, ავაზაკო, გასწი აქედან!

**ჰუბერტი**

მე ავაზაკი არ ვარ!

**სოლსბერი**

(ხმალს იშიშვლებს) კანონს გამაძარცვინებ?

**ბასტარდი**

სერ, თქვენი ხმალი ბრჭყვიალაა; ისევ ჩააგეთ.

**სოლსბერი**

ქარქაშად უნდა მკვლელის ტყავი გამოვიყენო.

**ჰუბერტი**

უკან დაიწი, ლორდ სოლსბერი, დაიწი-მეთქი,
ჩემი მახვილი თქვენს მახვილზე ნაკლებ არა სჭრის,
არ მინდა თავი დაივიწყოთ, მილორდ, იმდენად,
რომ მაიძულოთ მეც დავიცვა ჩემი სიმართლე,
თორემ თქვენს რისხვას რომ ვუყურებ, სულ მავიწყდება,
თქვენი სახელიც, ღირსებაცა და წარმოშობაც.

**ბიგოტი**

ნეხვო, დიდებულს იწვევ ხმალში? გასწი აქედან!

**ჰუბერტი**

არ ვიწვევ, მაგრამ შემიძლია ჩემი მართალი
სიცოცხლის გამო ხელმწიფესაც არ შევეპუო.

**სოლსბერი**

კაცის მკვლელი ხარ.

**ჰუბერტი**

ჯერ არა ვარ, მაგრამ თუ ძლიერ
ჩამაცივდები, იქნებ გავხდე. ვინც მაგას მწამებს,
მართალს არ ამბობს და ვინც მართალს არ ამბობს, — სტყუის

**პემბროკი**

მიდი, აჰკუწე.

**ბასტარდი**

წყნარად-მეთქი, მე გეუბნებით.

**სოლსბერი**

იქით დადექით, თორემ თქვენვე დაგცხებთ, ფოკონბრიჯ.

**ბასტარდი**

ის გირჩევნია ეშმაკს დასცხო ხმალი, სოლსბერი,
ფეხი რომ გასძრა, შუბლშეჭმუხვნით რომ შემომხედო,
ან სიფიცხის ჟამს შეურაცხმყო დაუფიქრებლად,
აქვე გაგაქრობ. ვიდრე დრო გაქვს, ჩააგე-მეთქი,
თორემ შენც და მაგ შენ შამფურსაც ისე დაგნაყავთ,
იფიქრებ, ეშმა მოგევლინა ჯოჯოხეთიდან.

**ბიგოტი**

აბა, რას შვრები, ფოკონბრიჯო სახელგანთქმულო!
განა ვერ ატყობ, კაცის მკვლელს და ავაზაკს იცავ?

**ჰუბერტი**

ლორდ ბიგოტ, არ ვარ კაცისმკვლელი.

**ბიგოტი**

ვინ მოკლა პრინცი?

**ჰუბერტი**

ერთი საათის წინ დავტოვე საღსალამათი.
მე ის მიყვარდა, თაყვანს ვცემდი და მის დაკარგვას
მარად ვიგლოვებ ჩემი დღენი კუბოს ფიცრამდე.

**სოლსბერი**

არ დაუჯეროთ წყალთა დენას ცბიერ თვალთაგან:
არამზადობას არ აკლია ამგვარი სითხე;
ვინც ამ საქმეში გაწვრთნილია, უმანკოების
და სინანულის მდინარეებს ადვილად აფრქვევს.
წამოდით ჩემთან ერთად ყველა, ვისაც გულს გირევთ
ამ სასაკლაოს სიმყრალე და უსუფთაობა.
ამ ცოდვის სუნმა მე თვითონაც ლამის დამახრჩოს.

**ბიგოტი**

წავიდეთ, ბერის მივაშუროთ; იქ დოფინია.

**პემბროკი**

იქ გვეძებე-თქო, მოახსენეთ ხელმწიფეს ასე.
(დიდებულნი გადიან)

**ბასტარდი**

მაშ კარგად არის ქვეყნის საქმე! ამ სიავკაცის
იცოდი რამე? უსაზღვროა ღვთის მოწყალება,
მაგრამ ეს საქმე სისხლიანი თუ შეასრულე,
წყეულიმც იყავ, გესმის, ჰუბერტ!

**ჰუბერტი**

სერ, მომისმინეთ.

**ბასტარდი**

აი, რას გეტყვი:
წყეულიმც იყავ, შენზე შავი არა იყოს რა,
უფრო წყეული, ვიდრე თვითონ ლუციფერია!
ჯოჯოხეთშიც კი შენზე მახინჯ ეშმას ვერ ჰპოვებ,
თუ კი ეს ბავშვი შენი ხელით არის მოკლული.

**ჰუბერტი**

სულს გეფიცებით...

**ბასტარდი**

შენ თუ ეს ჰქმენ, — ამის ჩამდენმა
გადაიწყვიტო უნდა ქვეყნად ყველა იმედი;
თოკი თუ გინდა, უმცირესი ძაფიც იკმარებს, —
ისეთი ძაფი, ობობა რომ ქსელს აბამს ხოლმე, —
რომ შენ მოგაშთოს, ლერწამიც კი იქცევა დირედ,
რომ ჩამოგახრჩოს; ან თუ გინდა თავი დაიხრჩო, —
საკმარისია კოვზის პირზე დაასხა წყალი,
რომ უზარმაზარ ოკეანედ გადიქცეს იგი,
რათა ასეთი ავაზაკი შთანთქას და მოსპოს.
დიდად მაეჭვებს საქციელი შენი, იცოდე.

**ჰუბერტი**

თუ მოქმედებით, თანხმობით ან ცოდვილი ფიქრით
მიძღოდეს ბრალი და მე ვიყო ნამდვილად ქურდი
ნაზი სუნთქვისა, ამ მშვენიერ ნეშტში რომ იდგა, —
დაე წამებაც არ მეკმაროს ჯოჯოხეთური.
საღსალამათი იყო-მეთქი.

**ბასტარდი**

წაიღე ნეშტი.
განცვიფრებული ვარ და ვფიქრობ, დავკარგე-მეთქი
გზა ამა სოფლის ეკალთა და განსაცდელთ შორის.
როგორ ადვილად ააჯანყე მთელი ინგლისი!
აი, ამ მკვდარი ყრმის მეფური, მცირე ნეშტიდან
ქვეყნის ცხოვრება, უფლება და სიმართლე ყველა
ცაში ავარდა; და ინგლისსაც ის დარჩენია,
რომ ღრღნას და გლიჯოს ნაწილ-ნაწილ თავისი კბილით
ამ უპატრონო და მაღალი ტახტის უფლება.
ახლა დიდების გამოხრულ ძვალს ძაღლად ქცეული
გაანჩხლებული ომი უტევს, ქედაბურძგნული,
და შიგ თვალებში უღრენს შმაგად კეთილ მშვიდობას.
ახლა მტრის ლაშქარს და შინაურ გულნაკლულობას
პირი შეუკრავთ ერთმანეთთან და უდარაჯებს
არეულობა, — ვით დავარდნილ პირუტყვს ყორანი, —
მიტაცებული ხელმწიფების მალე დაცემას.
ნეტავ მას, ვისი სარტყელი და შესამოსელიც
გრიგალს გაუძლებს. — წამოიღე ეგ ბავშვი-მეთქი
და გამომყევი უკან სწრაფად; — მეფესთან მივალ:
ათასი საქმე მაქვს, ათასი გულის წუხილი
და თვითონ ზეცაც გადმოგვყურებს შუბლშეჭმუხვნილი. (გადიან.)

თარგმნა ინგლისურიდან **გივი გაჩეჩილაძემ**





# ალბერტო მორავია



# ბავშვი

მხატვარი თ. მირზაშვილი

ღარიბთა დამხმარე საზოგადოებიდან შემწეობა რომ მოგვიტანა, იმ კეთილმა სინიორამაც გვკითხა, ამდენ ბავშვებს რატომ აჩენთო. ჩემი ცოლი გუნებაზე ვერ იყო, ადგა და პირდაპირ მიახალა სინიორას: ფული რომ გვქონდეს, საღამოს კინოში წავიდოდით, მაგრამ ფულს, აბა ჩვენ ვინ მოგვაშავებს, ამიტომ დალამდება თუ არა, ლოგინს მივაშურებთ, ჰოდა, ბავშვები იბადებიანო. ამ სიტყვებით განაწყენებული სინიორა, ისე წავიდა, არც კი გამოგვემშვიდობა. მე ცოლს გავუჯავრდი, სიმართლის თქმა ყოველთვის როდი ვარგა, სანამ გამოტეხილად იტყოდე, ჯერ ის იკითხე, ვისთან გაქვს საქმე-მეთქი.

ჩემს სიჭაბუკეში, ვიდრე ოჯახს მოვეკიდებოდი, ხშირად გადავშლიდი ხოლმე გაზეთს და რომაული ქრონიკის განყოფილებას წავიკითხავდი. როგორც მოგეხსენებათ, იქ აღწერენ ქალაქში მომხდარ სხვადასხვა უბედურ შემთხვევებს: მკვლელობას, ძარცვას, თვითმკვლელობას და სხვა ამგვარ უბედურებებს.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ჭაბუკი ვიყავი, გამოუცდელი, აბა რას წარმოვიდგენდი, თუ დიდი ოჯახის შენახვა ასეთი მძიმე ტვირთი იყო. ხშირად დავფიქრდებოდი მომავალზე და ჩემს თავს ვეტყოდი: არა, ისეთი უიღბლო როგორ ვიქნები, რომ მაინცდამაინც ყველაზე საშინელი უბედურება მე დამატყდეს-მეთქი. ყველაზე საშინელი უბედურება კი ისეთი სილატაკეა, როდესაც ადამიანი სიბრალულს იწვევს, არა რაიმე განსაკუთრებული უბედურების გამო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყნად გაჩნდა, ცოცხლობს და რომლის შესახებ გაზეთში ხშირად წერენ. ვაგლახ, ახლა კარგად ვხედავ, რომ ულმობელმა ბედმა წილად სწორედ ეს მწარე ხვედრი მარგუნა. დღეს მე მართლაც შესაბრალისი ვარ. აი, მაგალითად, გაზეთში კითხულობთ: „ენით არ აიწერება მათი გაჭირვება, ნამდვილად შავ დღეში არიან“, განა მე და ჩემი ჯალაბი უკეთეს დღეში ვართ? ანდა წერენ: ხეირიანი თავშესაფარიც კი არა აქვთო. როგორ ფიქრობთ, მე კი მაქვს ხეირიანი თავშესაფარი? არა, მე ჩემი დიდი ჯალაბით ტარმარანჩოზე ვცხოვრობ. ვცხოვრობ ისეთ ქოხში, სადაც ლეიბებს ფეხს ვერ აუქცევ, ავდარში კი წყალი ისევე მიჩხრიალებს იატაკზე, როგორც რიპეტას სანაპიროზე. ამგვარი ამბავიც არა ერთხელ შემხვედრია რომაული ქრონიკის განყოფილებაში: „იმ უბედურმა, როცა იგრძნო, რომ ფეხმძიმედ იყო, დიდი დანაშაული ჩაიდინა; გადაწყვიტა სიყვარულის ნაყოფი მოეშორებია“.

რაღა ბევრი გავაგრძელო, მეშვიდე ბავშვის მოლოდინში რომ ვიყავით, მე და ჩემმა ცოლმა მოვითათბირეთ და შევთანხმდით, ცოტა ჩამოთბებოდა თუ არა, ბავშვი წაგვეყვანა და ერთ-ერთ საყდარში დაგვეტოვებინა. იმედი გვქონდა, რომ საყდარში რომელიმე გულკეთილი ადამიანი აიყვანდა ბავშვს და გაზრდიდა.

მშობიარობის დრო მოახლოვდა. გულისხმიერმა სინიორებმა, ღარიბებს რომ ეხმარებიან, კვლავ მოგვხედეს და ჩემი ცოლი საავადმყოფოში დააწვინეს მოსალოგინებლად. გავიდა ხანი, ცოლი გამოკეთდა და ერთ მშვენიერ დღეს ტარმარანჩოზე გამომეცხადა ძუძუთა ბავშვით. ოთახში ხეირიანად არც კი ჰქონდა ფეხი შემოდგმული, რომ მომახალა:

— იცი რას გეტყვი? აბა საავადმყოფოში კარგი რა ყრია, მაგრამ მაინც იქ დარჩენა მერჩივნა, შინ დაბრუნებას.

ბავშვი საშინლად აჰყავლდა, თითქო დედის სიტყვები გაიგონა. ლამაზი ბიჭი იყო, მაგარი, ხმაც ძლიერი ჰქონდა და როცა ღამღამობით ჩხავილს გაიბამდა, ნურას უკაცრავად: ძილზე ფიქრი ზედმეტი იყო.

დღე დღეს მისდევდა, ღამე ღამეს, გვეწვია მაისიც, დათბა, ხალხმა პალტო გაიხადა. შესაფერი დარი დაიჭირა თუ არა, ჩვენი ჩანაფიქრის ასასრულებლად სამზადისს შევუდექით. დედამ ბავშვს იმდენი ჩვრები შემოახვია, გეგონებოდათ, საყდარში კი არა, სადმე თოვლით დაფარულ ტრიალ მინდორზე უპირებდა დატოვებას. გამოვედით ჩვენი ტარმარანჩოდან და რომისკენ გავწიეთ. დედა ბავშვს გულზე იხუტებდა, მძიმედ სუნთქავდა, თმა აწეწოდა, თვალები გაფართოვებოდა და გზადაგზა გაუჩერებლად ტარტარებდა. საბრალო ქალი ბოლმას ებრძოდა, მაგრამ ვერ ერეოდა. მე კი მდუმარედ მივყვებოდი გვერდით.

— იცოდე, ისეთ საყდარში უნდა დავტოვოთ, სადაც მდიდარი ხალხი დადის სალოცავად, — მეუბნებოდა ცოლი, — აბა ეს რა ჭკუა იქნება, თუ ბავშვი ჩვენისთანა ლატაკმა წაიყვანა. ჩემის ფიქრით, ყველაზე საიმედო, მადონას სახელობის საყდარია. მადონასაც ვაჟი ჰყავდა, ის უფრო შეისმენს ჩვენს ვედრებას და სურვილს შეგვისრულებს.

დამღლა გაუთავებელი ლაპარაკით, გულს ცეცხლი შემომენთო. ჩემთვის კი იოლი იყო შვილის მოწყვეტა? განა მე მინდოდა ამის გაკეთება? არა, ბოლმა მეც მახრჩობდა, მაგრამ გულში ვიმეორებდი: დამშვიდდი, თავგზას ნუ დაკარგავ, გამაგრდი და ცოლი გაამხნევე-მეთქი. მინდოდა როგორმე შემეწყვიტა სიტყვების ნიაღვარი, რომელსაც სულმოუთქმელად ისროდა ჩემი ცოლი, ამიტომ დუმილი დავარღვიე და ვუთხარი:

— განა წმიდა პეტრეს ტაძარი რითია ცუდი. მოდი, იქ დავტოვოთ.

ცოლი ჯერ შეყოყმანდა, მერე კი გადაჭრით უარი მითხრა:

— ერთი შენც, იტყვი რაღა უცნაურს. ეგ ტაძარი კი არა, შარაგზაა. ადვილი შესაძლებელია, იქ ვერც კი შენიშნონ ბავშვი... პატარა საყდარი სჯობია, აი ისეთი, ვია კონდოტიზე რომ არის. არ გინახავს, საყდრის ახლომახლო რა საუცხოო მაღაზიებია... სულ მდიდარი ხალხი დადის იქა... ნამდვილად, ყველაზე შესაფერი საყდარი, სწორედ ის არის.

ავტობუსში რომ ჩავსხედით, მხოლოდ მაშინ გაჩუმდა ჩემი დედაკაცი, ბავშვი უფრო მაგრად მიიკრა მკერდზე, დროდადრო თავზე წაფარებულ საბნის კუთხეს გადახდიდა და დაჟინებით დააცქერდებოდა შვილს. ბავშვს ფუნჩულა, ვარდისფერი სახე ჩვრებში ჩაერგო და ტკბილად ეძინა. ჩვენსავით ცუდად ეცვა პატარასაც, მხოლოდ ხელთათმანები ჰქონდა კარგი, ცისფერი თივთიკის ხელთათმანები ეკეთა და ხელებს ისე ამოჰყოფდა ხოლმე წარამარა საბნიდან, თითქოს თავის ლამაზ ხელთათმანებს ხალხს უჩვენებსო. გოლდონის თეატრთან ავტობუსიდან ჩამოვედით. ჩემმა ცოლმა ისევ წამოიწყო ლაპარაკი. ოქრომჭედლის მაღაზიას რომ მივუახლოვდით, შედგა, ვიტრინაში წითელ ხავერდზე დაწყობილ ძვირფას ნივთებზე მიმითითა და ისევ ატარტარდა:

— არა, ერთი შეხედე, რა სილამაზეა... ამ ქუჩაზე მხოლოდ იმისთვის დადის ხალხი, რომ ნაირნაირი, ძვირფასი და ლამაზი ნივთები იყიდოს... ეეჰ, აბა ლატაკებს აქ რა დარჩენიათ, არც კი გაივლიან ამ ქუჩაზე... ჰოდა, იცი რისთვის გეუბნები ამას? აი ლამაზ და ძვირფას ნივთს რომ იყიდის ადამიანი, კარგ გუნებაზე დადგება, საყდარში შევა, ილოცებს, იქ კი ბავშვს დაინახავს და აიყვანს.

გაუნძრევლად იდგა ერთ ადგილზე, ბრილიანტებს მიშტერებული, სახე შეშლილი ჰქონდა, თვალები ამღვრეული, გაუთავებლად იმეორებდა ერთი და იგივეს და თან ბავშვს მაგრად იკრავდა გულზე.

კრინტი ვერ დავძარი, მდუმარედ მოვკიდე ხელი და საყდრისკენ წავიყვანე. შევედით პატარა საყდარში. შენობა შიგნით ისე ოსტატურად იყო მოპირკეთებული, კედლები მარმარილოსი გეგონებოდათ. რამდენიმე ეკვდერი ჰქონდა საყდარს და შესანიშნავი საკურთხეველი. ცოლმა შენობა შემოიარა, ყველაფერი ყურადღებით დაათვალიერა, თითქოს ამოწმებდა, ღირს თუ არა აქ ბავშვის დატოვებაო, შემდეგ რაღაც, უნდო, უკმაყოფილო სახე მიიღო და მითხრა: იჰ, ეს საყდარი მე სულ სხვაგვარად მქონდა წარმოდგენილიო. ერთხელ კიდევ დავათვალიერებო, თქვა და ისევ დაიწყო შემოვლა. გუმბათის ფანჯრიდან საყდარში ცივი და კაშკაშა შუქი ილვრებოდა. მე ცოტა მოშორებით მივყვებოდი, თან თვალი სულ შემოსასვლელისკენ მეჭირა. აი, წითელ, ვიწრო კაბაში გამოწყობილი, მაღალ-მაღალი ოქროსფერთმიანი სინიორა შემოვიდა. მუხლი რომ მოიყარა სალოცავად, მისმა ქვედა კაბამ ტკაცანი გაილო. ილოცა ცოტა ხანს, პირჯვარი გადაიწერა და საყდრიდან ისე გავიდა, რომ ჩვენსკენ არც მოუხედია. ჩემმა ცოლმა ეს რომ დაინახა, მითხრა:

— არა, აქ არ ივარგებს... ეტყობა ამ საყდარში სულ მაგ წითელკაბიანი სინიორას ფერი ხალხი დადის. მაგათ ხომ გართობისა და მ ღაზიებში თრევის გარდა არა იციან რა. წამო, წავიდეთ...—თქვა და საყდრიდან გავიდა.



კორსოზე კარგა დიდი მანძილი სულ სირბილით გავიარეთ. წინ ცოლი მირბოდა, უკან მე. ბოლოს, ვენეციის მოედნის მახლობლად სხვა საყდარში შევედით. ის პირველზე გაცილებით დიდი და მდიდრულად მორთული საყდარი იყო. ძვირფასი ქსოვილის მძიმე ფარდები ეკიდა, ვიტრინებში ნაირ-ნაირი მოოქროვილი, ლამაზი ნივთები ელაგა, შუშის საფარქვეშ ეკიდა ვერცხლის გულები, რომლებიც საღამოს ბინდზე მკრთალად ლაპლაპებდნენ. საკმაოდ

მეტი ხალხი შეყრილიყო, — შეძლებული ხალხი, თუ კი მათი ჩაცმულობის მიხედვით განვსჯიდით. ქალებს ლამაზი ქუდები ეხურათ, მამაკაცები ძვირფას კოსტუმებში იყვნენ გამოწყობილი. ამბიონზე მღვდელი ქადაგებდა. ყველა მას შეჰყურებდა. „აი, ამაზე ხელსაყრელი შემთხვევა აღარ გვექნება, აქ ვერავინ შეგვნიშნავს, როგორ დავტოვებთ ბავშვს“, — გავიფიქრე და ცოლს ვუჩურჩულე:

— მოდი, აქ ვცადოთ...

ცოლმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. გავედით გვერდით ეკვდერში. იქ არავინ ჩანდა. თუმცა ისე ბნელოდა, რომ ერთმანეთს ძლივს ვარჩევდით. ცოლმა საბნის კუთხე პირზე დააფარა ბავშვს და ისე დაუშვა სკამზე, თითქოს ბავშვი კი არა, ფუთა სჭეროდა ხელში. შემდეგ მუხლი მოიყარა, ხელები სახეზე აიფარა და დიდხანს ლოცულობდა. მე კი, რადგან საქმე არა მქონდა, ქანდარის კედლებზე დაკიდებულ ვერცხლის სხვადასხვა ზომის გულებს ვათვალიერებდი. ბოლოს, როგორც იყო, ცოლმა ლოცვა მოათავა, წამოდგა, პირჯვარი გადაიწერა და სახეარეული გამოვიდა ეკვდერიდან. მე უკან გამოვყე.

— და რქვა მას ქრისტემ: „სად მიხვალ, პეტრე?“ — დასჭექა სწორედ იმ წუთში მღვდელმა.

ისე მომეჩვენა, თითქოს მღვდელი მე მეკითხებოდა. ამ დროს ჩემმა ცოლმა შემოსასვლელში ჩამოშვებული ფარდა გადაწია და, ის იყო საყდრიდან უნდა გასულიყო, რომ შეგვესმა:

— სინიორა! სინიორა! ფუთა დაგრჩათ სკამზე.

ორივე შევხტით, შემოვბრუნდით, ჩვენ წინ იდგა შავებში გამოწყობილი მანდილოსანი, ერთი იმ ფარისეველთაგანი, რომელიც მთელ დღეს საყდარში ალამებს.

— დიახ, სინიორა, — უთხრა ჩემმა ცოლმა, — გმადლობთ, მე მართლა დამავიწყდა „ფუთა“.

ავიღეთ „ფუთა“ და ცოცხალმკვდრები გამოვედით საყდრიდან.

— ეჰ, არავის, არავის არ უნდა ჩემი საბრალო ბიჭუნა, — თქვა ჩემმა ცოლმა იმ ვაჭრის მსგავსად, რომელსაც საქონლის გასაღების იმედი გადაუწყდა.

კვლავ განვაგრძეთ გზა. თმაგაწეწილი ჩემი ცოლი ისე მიჰქროდა, რომ მიწას ფეხს არ აკარებდა. წმიდა მოციქულთა მოედანზე რომ გავედით, ბედზე საყდარი ღია დაგვხვდა. შევედით. ისიც დიდი, ფართო, მაგრამ ბნელი საყდარი იყო.

— აი, ეს კი სწორედ შესაფერი საყდარია, — მიჩურჩულა ცოლმა.

გამბედაობა მოიკრიბა და გულადად შევიდა ეკვდერში. აღარც პირჯვარი გადაიწერა, აღარც ილოცა, არც ბავშვს აკოცა, სწრაფად დააწვინა შვილი სკამზე და ისე გაექანა გასასვლელისკენ, თითქოს მის ფეხქვეშ მიწას ცეცხლი ეკიდა. მაგრამ კარებთან მისვლა ვერ მოასწრო, რომ მთელ საყდარში განწირული ჩხავილი გაისმა. ჭამის დრო დაუდგა ბავშვს და შიმშილისგან ატირდა.

ბავშვის ჩხავილის გაგონებაზე, დედას თავგზა აერია, ჯერ ისევ კარებს მიაშურა, მერე შებრუნდა, მიიჭრა სკამთან, შვილს ხელი დასტაცა, ჩამოჯდა და საკინძი გაიხსნა.

ბავშვი ორივე ხელით ჩააფრინდა ძუძუს და მგლის ლეკვივით დაუწყო წოვნა.

— ღვთის სახლში ასეთ რამეს არ ჩადიან. გასწით აქედან, ახლავე გადით გარეთ! — შეგვესმა უცებ მამაკაცის მკაცრი ხმა.

ჭაღარა, ბებრუცუნა დიაკვანი თავს წაგვადგა. ჩემი ცოლი წამოხტა, მკერდზე ჩვარი დაიფარა, ბავშვსაც გადააფარა პირზე, შემდეგ დიაკონს მიუბრუნდა და უთხრა:

— კი, მაგრამ, რა არის აქ ისეთი... აი, სურათებზე, მადონა... იმასაც ხომ მკერდთან ჰყავს ბავშვი?..

— ეს რა თქვი, შე ურცხვო! მადონას ადარებ შენ თავს! — კვლავ შეუყვირა მჭახე ხმით დიაკვანმა.

ერთი სიტყვით, გამოვედით საყდრიდან შერცხვენილები და ვენეციის მოედანზე პატარა ბაღში შევედით. დავსხედით სკამზე, ცოლმა ისევ მისცა ძუძუ ბავშვს, ბავშვი გაძღა და მალე დაიძინა. ამასობაში მოსაღამოვდა, ბინდმა დაჰკრა, საყდრები დაიხურა, ჩვენ კი, დაღლილები, გაწამებულები ვისხედით ბაღში და ვერაფერი გადაგვეწყვიტა. სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო იმის ფიქრმა, რომ ამდენი დრო დავკარგეთ ისეთ საქმეზე, რომელიც სულაც არ უნდა წამოგვეწყო.

— ყური მიგდე, — დავარღვიე დუმილი, — მეტი აღარ შემიძლია, დავიქანცე, გადაწყვიტე, რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ.

— ეს ხომ შენი შვილია, შენი სისხლი და ხორცი... — გაანჩხლებით შემომიტია ცოლმა. — გამაგებინე, რა გინდა? იქნებ, ისა გნებავს, ჩვენი ბავშვი, სადმე კუთხეში, კატის ნასუფრალივით მივაგდოთ?

— არა, რას ამბობ! — ვუპასუხე. — ოღონდ ეს კია, რომ ასეთ საქმეზე დიდხანს არ უნდა იფიქრო... ან უცებ უნდა გააკეთო, ანდა სულ ხელი აიღო.

— აჰა, ახლა კი მივხვდი. შენ იმისი გეშინია, რომ მე გადავიფიქრებ და ბავშვს უკან წამოვიყვან. ასეა, არა?.. ფუი, როგორი ლაჩრები ხართ მამაკაცები.

ეს მკვახე-მკვახე სიტყვები, ცოტა არ იყოს გულზე მომხვდა, მაგრამ თავი შევიკავე და დაყვავებით ვუთხარი:

— მე კარგად მესმის, როგორ იტანჯები, მაგრამ ერთი რამ უნდა გაიგო: ვის ხელშიც არ უნდა ჩავარდეს ჩვენი შვილი, რაც არ უნდა გადახდეს, მაინც უფრო ბედნიერი იქნება, ვიდრე ჩვენთან, ჩვენს ქოხში, ტარმარანჩოზე, სადაც ზამთრობით ჭია-ღუა გვესევა, ზაფხულობით კი ბუზები.

ამჯერად ცოლმა არაფერი არ მიპასუხა.

ისევ გავუდექით გზას, არ ვიცოდით, სად მივდიოდით. ვია ნაციონალეს ქუჩას ავყევით ზემოთ, ნერონის კოშკისკენ. ამ დროს ერთი პატარა ქუჩა შევნიშნე. ადამიანის ჭა-



ჭანება არ იყო ირგვლივ, ერთ-ერთი სახლის წინ, რუხი მანქანა იდგა. მანქანაში არავინ იჯდა. უცებ კარგი აზრი დამებადა, მივიჭერ მანქანასთან, გადავატრიალე სახელური და კარი გავაღე.

— აბა, ჩქარა მოდი, ამაზე უკეთესი შემთხვევა აღარ გვექნება, დააწვინე ბავშვი უკანა სკამზე, — ვუთხარი ცოლს.

ცოლმა დამიჯერა, საბანში გახვეული ბავშვი სკამზე დააწვინა, მე მანქანის კარი მივხურე, მიმოვიხედე, ხომ არავინ გვიყურებს-მეთქი, როცა დავრწმუნდი, რომ არავინ გვიყურებდა, მკლავში ხელი ჩავავლე ჩემს ცოლს და ორივემ კვირინალის მოედნისკენ მოვკურცხლეთ.

მოედანზე არავინ ჩანდა, ჩაბნელებული იყო იქაურობა, მხოლოდ სასახლის წინ ენთო რამდენიმე ფარანი.

ობელისკის მახლობლად ჩემი ცოლი სკამზე ჩამოჯდა, მოიბუზა, ზურგი შემაქცია და ატირდა.

— რა მოგივიდა, რამ გაგამწარა ასე? — ვუთხარი ცოლს.

— ახლა, როცა მე ის დავტოვე, — ტირილით მიპასუხა ცოლმა, — ისეთ სიცარიელეს ვგრძნობ... აი აქ, მკერდთან... სადაც ჩემი შვილი მყავდა მიკრული...

— გასაგებია, რა თქმა უნდა, მაგრამ გაგივლის, — ვუთხარი მე.

ასე ვისხედით ერთ ხანს, ჩემი ცოლი ტიროდა, მაგრამ უცებ თავი აიღო, ცრემლი ისე შეაშრა თვალზე, როგორც ძლიერი ქარის მობერვაზე წვიმის წყალი აშრება ქვაფენილს. მოულოდნელად წამოხტა, სასახლისკენ გაიშვირა ხელი და საშინელი ხმით დაიყვირა:

— ახლავე წავალ, აი იქ, ხელმწიფესთან, მივალ და ყველაფერს მოვახსენებ.

— გაჩუმდი. ხომ არ გაგიჟდი! ნუთუ არ იცი, რომ ხელმწიფე დიდი ხანია აღარა გვყავს? — შევძახე შეშინებულმა და ხელი ვტაცე.

— ჩემთვის სულერთია... იმას ვეტყვი, ვინც ხელმწიფის ადგილზე ზის... ვინმე ხომ იქნება იქ! — მომიგო მან, ხელი გამომგლიჯა, ადგილიდან მოწყდა, სასახლისკენ გაიქცა და აუცილებლად ატეხდა აურზაურს, რომ არ დამეყვირა:

— გაჩერდი, სად მირბიხარ, გადავიფიქრე... დავბრუნდეთ უკან და ბავშვი წამოვიყვანოთ... გესმის? ერთით მეტი იქნება, თუ ნაკლები, სულ ერთი არაა?

ალბათ, ეს ფიქრი ცოლსაც უტრიალებდა თავში, ჩემი სიტყვების გაგონებისთანავე, დაავიწყდა ხელმწიფე, შემობრუნდა და დაჟინებით მკითხა:

— ვითომ მანქანა ისევ იქ იქნება?

— იქ იქნება, — ვუთხარი და მანქანისკენ გავეშურეთ.

ბედზე მართლა იქვე დაგვხვდა მანქანა, მაგრამ სწორედ იმ წუთში, როცა ჩემმა ცოლმა მანქანის კარს ხელი მოკიდა, სახლის სადარბაზო შესასვლელიდან ერთი დაბალ-დაბალი, შუახნის კაცი გამოხტა და დაიყვირა:

— მოითმინეთ, მოითმინეთ! რა გინდათ ჩემს მანქანასთან?

— რა მინდა და ჩემი ბარგი, — არც კი შეხედა, ისე უპასუხა ჩემმა ცოლმა.

— რა ბარგი, რის ბარგი! აქ რა უნდა თქვენ ბარგს! ეს ჩემი მანქანაა... არ გესმით? ჩემი მანქანაა!

აი მაშინ კი უნდა გენახათ ჩემი ცოლი. მრისხანედ გაიმართა წელში, უცნობს თვალი გადაუბრიალა და მკვახედ მიახალა:

— ნეტა ვინ რასა გტაცებს?! ნუ გეშინია, არაფერს წაგართმევ. მიმიფურთხებია შენი მანქანისთვის... აი, უყურე! — უთხრა და მართლა მიაფურთხა მანქანის კარს.

— მერედა ეს ბარგი? — დაბნევით დაიწყო უცნობმა.

— ეს ბარგი კი არ გახლავთ, ჩემი ბავშვია... აჰა, ნახე.

ბავშვს პირიდან საბანი გადახადა, უცნობს დაანახვა და ისევ განაგრძო:

— „ჩემი მანქანა“, „ჩემი მანქანა“. შე საწყალო, შენ და შენმა ცოლმა, ორი საუკუნეც რომ იცხოვროთ, ასეთ მშვენიერ ბავშვს მაინც ვერ გააჩენთ. არ იფიქრო ჩემი დაკავება, თორემ დავიყვირებ, მთელ ქუჩას შევყრი, პოლიციელსაც დავუძახებ და ვეტყვი, რომ ჩემი ბავშვის მოპარვას აპირებდი.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ისეთ-ისეთები აკადრა, რომ საწყალი კაცი გაშრა, იდგა პირდაღებული, სისხლი თავში აუვარდა, მე გავიფიქრე, საცაა დამბლა დაეცემა-მეთქი.

ჩემმა ცოლმა გული რომ მოიოხა, გაჩუმდა, შემობრუნდა, ნელი ნაბიჯით გაშორდა მანქანას და გზის მოსაქცევზე დამეწია.

თარგმნა **ნინო სამუკაშვილმა**



# რუსეთის პირველი მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია

## („შრომის განთავისუფლების" ჯგუფის დაარსების 75 წლისთავის გამო)

რუსეთში მარქსიზმის იდეების შემოჭრა თუმცა გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან, ე. ი. მისი წარმოშობისთანავე იწყება, მაგრამ 80-იან წლებამდე იგი ვერ გახდა იდეოლოგიურ მიმდინარეობად, მუშათა მოძრაობის საბრძოლო დროშად. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ მანამდე რუსეთში არ იყო მომზადებული სათანადოდ მატერიალური პირობები, არ იყო ჩამოყალიბებული სამრეწველო პროლეტარიატი, რომლის იდეოლოგიასაც მარქსიზმი წარმოადგენს. ასეთი პირობები რუსეთში მხოლოდ 80-იანი წლებისათვის მომზადდა. ამ პერიოდში მარქსიზმის იდეებმა რუსეთის სინამდვილის სახით ნოყიერი ნიადაგი ჰპოვეს. გ. ვ. პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი ამ იდეების პირველი მთესველია.

მარქსიზმის პროპაგანდის გზაზე „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი დიდ დაბრკოლებას წააწყდა ნაროდნიკული იდეოლოგიის სახით, რომელიც უტოპიური სოციალიზმის რუსეთის სახესხვაობას წარმოადგენდა და გაბატონებული იყო იმ პერიოდში.

„შრომის განთავისუფლების" ჯგუფმა დიდი ნუშაობა ჩაატარა მარქსიზმის გასავრცელებლად რუსეთში. ამ მიზნით ჯგუფმა შექმნა სპეციალური საგამომცემლო ორგანო „თანამედროვე სოციალიზმის ბიბლიოთეკის" სახელწოდებით და რუსულ ენაზე თარგმნა და გამოსცა მარქსისა და ენგელსის თხზულებანი: „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ", „ფილოსოფიის სილატაკე", „ლუდვიგ ფოიერბახი" და სხვა, რომლებიც არალეგალურად ვრცელდებოდა რუსეთში. ამასთანავე „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის წევრებმა პლეხანოვმა, ზასულიჩმა, აქსელროდმა და სხვებმა დასწერეს ისეთი შრომები, რომლებშიც ისინი იძლეოდნენ ამა თუ იმ საკითხის განმარტებას მარქსიზმის მოძღვრებიდან და რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების გაშუქებას ამავე მოძღვრების პოზიციებიდან.

ამ შრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია პლეხანოვის პირველი მარქსისტული ნაწარმოები „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა" და „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის".

„შრომის განთავისუფლების" ჯგუფის მოღვაწეობიდან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროგრამის პროექტებს, რომლებიც წარმოადგენდა სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს მარქსისტული პარტიის შექმნისათვის ბრძოლის გზაზე.

პროგრამის პირველი პროექტი, შედგენილი პლეხანოვის მიერ, გამოქვეყნდა 1884 წელს ჟენევაში. იგი ჯგუფის მიერ მაშინვე იქნა გაგზავნილი რუსეთში. პროექტში ჩამოყალიბებულია „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის მიზანი, რაც მდგომარეობდა რუსეთში მარქსისტული სოციალისტური იდეების პროპაგანდაში და მუშათა პარტიის შექმნისათვის გარკვეული ელემენტების გამომუშავებაში.

პროგრამის მეორე პროექტი, შედგენილი, აგრეთვე, პლეხანოვის მიერ, გამოქვეყნდა 1887 წელს. მასში მოცემული იყო რუსეთის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის დახასიათება, მითითებული იყო რუსეთის სოციალურ ურთიერთობათა თავისებურებებზე. პროგრამის ეს პროექტი ხაზგასმით მიუთითებდა მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე.

პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების" ჯგუფმა დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე. ამ გავლენის შედეგად საქართველოში გაბატონებული წვრილბურჟუაზიული თეორიები შეირყა. დაიწყო ახალი გზების ძიება.

ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია ცნობილი ბელეტრისტისა და პუბლიცისტის ეგნატე ნინოშვილის რევოლუციური მოღვაწეობა. იგი პირველი იყო, რომელმაც ქართული საზოგადოებრივი აზრის ახალი, მარქსისტული საფეხურის დაწყება გვამცნო. მისი მსოფლმხედველობის ევოლუციაზე, ე. ი. წვრილბურჟუაზიული, ნაროდნიკული აზროვნებიდან მარქსიზმისაკენ შემობრუნებაზე, განსაკუთრებული გავლენა მოახდინა პლეხანოვმა.

ეგნატე ნინოშვილი 1893-1894 წლებში გადაჭრით დაადგა მარქსისტულ მიმართულებას. ამას ადასტურებს მისი პუბლიცისტური წერილები: „ძველი დავა ახალ ქერქში" და „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისა". ორივე სტატია გამოქვეყნდა 1893 წელს „კვალის" ფურცლებზე. მათში მოცემულია თავადაზნაურულ, ნაროდნიკულ და ბურჟუაზიულ მიმდინარეობათა კრიტიკა. წინააღმდეგ ქართველი ნაროდნიკებისა, რომლებიც უარყოფდნენ კაპიტალიზმის განვითარების შესაძლებლობას საქართველოში, ეგნატე ნინოშვილი ამბობდა, რომ საქართველო უკვე დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას და არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც მას ამ გზიდან გადაახვევინებს. „კაპიტალიზმი და მრეწველობა ისეთი მდინარეა, — წერდა ის, — რომ თუნდა კიდეც მოინდომოთ მისი შეფერხება, ვერ შეაყენებთ და, უნდა მოგახსენოთ, არც სასურველია მისი შეყენება" (იხ. ეგ. ნინოშვილი, თხზ. სრ. კრ. 1954, გვ. 535).

ეგნატე ნინოშვილი ასაბუთებდა, რომ, ვითარდება რა კაპიტალიზმი ჩვენში, მაშასადამე, ვითარდება მუშათა კლასიცო. პროლეტარიატი ბურჟუაზიის თანამგზავრია და იგი აუცილებლად არსებობს იქ, სადაც არსებობს კაპიტალიზმიო.

ეგნატე ნინოშვილის ნაწერებში ნათლად გამოიხატა საქართველოში ძველიდან ახალზე, მარქსისტულ აზროვნებაზე გადასვლის ისტორიული პროცესი. მანვე დააარსა პირველი მარქსისტული ორგანიზაცია „მესამე დასი", რითაც საფუძველი ჩაუყარა სოციალ-დემოკრატიულ მიმართულებას ჩვენში. ყოველივე ეს შედეგია პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის უშუალო ზეგავლენისა.

დიდი როლი ითამაშა პლეხანოვის თეორიულმა შრომებმა საქართველოში მარქსისტული მოძრაობის ერთ-ერთი დამწყების ფილიპე მახარაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

თავის შრომაში — „როგორ გავხდი მარქსისტი", ფილიპე მახარაძე გარკვევით მიუთითებს, რომ მასზე დიდი გავლენა მოახდინა გასული საუკუნის 90-იან წლებში პლეხანოვის ნაწარმოებებმა საერთოდ, და განსაკუთრებით ისეთმა შრომებმა, როგორიცაა „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა" და „ჩვენი უთანხმოებანი".

ეგნატე ნინოშვილისა და ფილიპე მახარაძის გარდა პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების" ჯგუფმა დიდი გავლენა მოახდინა სხვა ქართველ მარქსისტებზეც, რომლებიც შემოკრებილი იყვნენ „მესამე დასის" გარშემო. მის ნაწერებს დიდი ინტერესით სწავლობდნენ რევოლუციურად განწყობილი ქართველი ინტელიგენტები. განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს ახალგაზრდობაზე მისმა შრომამ „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის". ამ წიგნის შესწავლამ აზიარა მაშინდელი მოწინავე თაობა მარქსისტულ მსოფლმხედველობას და საბოლოოდ შეარყია მისი რწმენა ნაროდნიკული შეხედულებებისადმი.

აღსანიშნავია, რომ პირველმა ქართულმა ლენინურ-ისკრული მიმართულების გაზეთმა „ბრძოლამ", რომლის სათავეში იდგნენ ი. ბ. სტალინი და ლ. კეცხოველი, მაღალი შეფასება მისცა პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის მოღვაწეობას. გაზეთი ჯგუფის წევრებს თვლის ჩვენი პარტიის საძირკვლის ჩამყრელებად, გ. ვ. პლეხანოვს კი — რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწედ. ამასთანავე გაზეთი ხაზს უსვამს იმ სერიოზულ გავლენას, რაც პლეხანოვმა მოახდინა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაზე საქართველოში.

პლეხანოვმა უშუალო დახმარება გაუწია ქართველ მარქსისტებს ანარქისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მან 1901 წელს გაზეთ „კვალში" გამოაქვეყნა სტატია „როგორც ჰქუხს, ისე არა წვიმს", რომელშიც მოცემულია ქართველი ანარქისტის ვარლამ ჩერქეზიშვილის შეხედულებათა კრიტიკა და დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებათა დაცვა. ამ სტატიამ ი. ბ. სტალინის შრომასთან ერთად „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?" დიდად შეუწყო ხელი საქართველოში ანარქისტული მიმდინარეობის ძირის გამოთხრას, მის იდეურ განადგურებასა და მარქსიზმის განმტკიცებას.

„შრომის განთავისუფლების" ჯგუფის ამომწურავი შეფასება მოგვცა ვ. ი. ლენინმა. იგი წერდა: „სოციალ-დემოკრატიის დამაარსებელი რუსეთში არის „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი, რომელიც აღმოცენდა საზღვარგარეთ 1883 წელს. ამ ჯგუფის ლიტერატურულ ნაწარმოებებში, რომლებიც უცენზუროდ იბეჭდებოდა საზღვარგარეთ, პირველად იყო გადმოცემული სისტემატურად და ყველა პრაქტიკული დასკვნით მარქსიზმის იდეები" (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 20, გვ. 295).

აძლევდა რა ასეთ მაღალ შეფასებას ჯგუფის მოღვაწეობას, ლენინი ამასთანავე მიუთითებდა იმ სერიოზულ შეცდომებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჯგუფის მუშაობაში. მაგალითად, მისი პროგრამის პირველ პროექტში დაშვებული იყო ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკა, მეორე პროექტში კი არა საკმაოდ იყო მოცემული პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის დახასიათება; ჯგუფის დამაარსებელი პლეხანოვი უგულებელყოფდა რევოლუციაში გლეხობის, როგორც პროლეტარიატის მოკავშირის როლს; მას ლიბერალური ბურჟუაზია მიაჩნდა ისეთ ძალად, რომელსაც თითქოს შეეძლო რევოლუციისათვის მხარდაჭერა. პლეხანოვი გადაჭარბებით აფასებდა გეოგრაფიული გარემოს როლს საზოგადოების განვითარებაში და სხვ.

პლეხანოვისა და მისი ჯგუფის მიერ დაშვებული შეცდომები მომავალ მენშევიკურ შეხედულებათა ჩანასახი იყო. დამახასიათებელია, რომ ჯგუფის ოთხი წევრი (გ. პლეხანოვი, ვ. ზასულიჩი, პ. აქსელროდი, ლ. დეიჩი) რსდმპ II ყრილობის შემდეგ მენშევიზმის ბანაკში აღმოჩნდა.

„შრომის განთავისუფლების" ჯგუფი წარმოადგენდა პირველ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა რუსეთში მარქსისტული იდეების პროპაგანდისა და დამკვიდრების საქმეში. მაგრამ იგი არ ყოფილა ერთადერთი ორგანიზაცია გასული საუკუნის 80-იან წლების რუსეთში. ამ პერიოდში მისგან დამოუკიდებლად და მისი გავლენით შეიქმნა მარქსისტული ჯგუფები და წრეები, რომლებმაც ხელი შეუწყეს რუსეთში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობას. მაგრამ როგორც ამ ჯგუფებმა და წრეებმა, ისე პლეხანოვის ჯგუფმაც ვერ განახორციელეს მარქსიზმის შეერთება მუშათა მოძრაობასთან.

ნაროდნიკობის საბოლოო იდეური განადგურება, მარქსიზმის შეერთება მუშათა მოძრაობასთან და პლეხანოვის ჯგუფის მიერ დაშვებული შეცდომების გასწორება მოუხდა ვ. ი. ლენინს, რომელმაც 1895 წელს დააარსა პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი". ამით ლენინმა საფუძველი ჩაუყარა მუშათა მოძრაობასთან მარქსიზმის შეერთებას. ამიერიდან დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე, პროლეტარული ეტაპი, რაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ი. ტყეშელაშვილი




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვასლავ ჩერნი

უდიდესი სიამოვნებით ვიგონებ ჩემს სტუმრობას საქართველოში. ნოემბრის ერთ ღამეს მე გამოვედი მაიკოპიდან.

შუაღამით მატარებელი სამხრეთისკენ, შავი ზღვისკენ გაემართა. მალე ჩამთვლიმა და ტუაპსემდე მეძინა. უეცრად ზღვის ხმაურმა გამომაღვიძა. ჩემს ირგვლივ სულ სხვა მხარე და ჰავა იყო. აქ ჯერჯერობით შემოდგომაც ვერ დაუფლებოდა საფუძვლიანად ბუნებას. მალე დაიძრა მატარებელი და გეზი აფხაზეთისკენ აიღო, საქართველოს რესპუბლიკის მიწა-წყლისკენ.

სადგურებზე გამოჩნდა რუსული წარწერების გვერდით ქართული წარწერებიც, რადიოკვანძმაც დაიწყო ქართული მუსიკის გადმოცემა. უკვე ცხადი იყო, რომ საქართველოში ვიყავი, იმ ქვეყნის მიწა-წყალზე, რომლის შესახებ მხოლოდ ბევრი რამ მსმენოდა და თვითეული წვრილმანიც კი მაოცებდა და მახარებდა.

წარმოიდგინეთ უცხოელის აღტაცება, რომელიც წლების მანძილზე შინ წიგნებს უჯდა და ენას იტეხდა ძნელი ქართული სიტყვების დაუფლებაზე, არავითარი საშუალება კი არ გააჩნდა შეემოწმებინა გამოთქმის სისწორე; და აი უეცრად ესმის, რარიგ სასიამოვნოდ და ნაზად გამოითქმის ქართული სიტყვები ცეროდენა, შავთვალწარბა გოგონების ბაგეთაგან.

შუადღემ რომ მოატანა, სოხუმში ვიყავი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში. აქ მოსახლეობის უმრავლესობა, რომელსაც ქუჩაში ვხვდებოდი, ქართულად ლაპარაკობს, ქართულ გაზეთებს კითხულობს და სიხარულით პასუხობს ჩემს „პრაღულ“ მისალმებას — გამარჯობათ, ამხანაგებო. მაგრამ მე ხომ თბილისში მივიჩქარი, საქართველოს დედაქალაქში. თბილისში განთიადზე ჩავედი. ცოტა უსიამოვნოდაც კი ვიგრძენი თავი, ასე ადრიან დილით უცნობ ქალაქში რომ აღმოვჩნდი, თუმცა ბლომად მეგულებოდა ქართველი მეგობრები, მაგრამ როგორ მეპოვნა ისინი, როგორ გამეკვლია გზა ამ უცნობ, დახლართულ ქუჩებში. ცოტა ხნის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ეს თურმე არც ისე ძნელი საქმე იყო. როცა მეტი ყურადღებით დავაკვირდი ქალაქს, უმალ დავრწმუნდი, რომ თბილისი თითქმის არ განსხვავდება პრაღისგან თავისი ადგილ-მდებარეობით. თბილისი მოქცეულია მტკვრის ხეობაში ისე, როგორც პრაღა ვლტავას ხეობაში. იქ, სადაც პრაღაში პეტრჟინია აღმართული, თბილისში მამადავითის მთაა, არც ისე მაღალი, მაგრამ ასევე ფუნიკულიორით მოწყობილი. ალაგ-ალაგ ვიწრო, პატარა ქუჩებიც ისევე დამახასიათებელია თბილისისთვის, როგორც პრაღისთვის.

მაგრამ ფიქრისა და ანალოგიების ძებნის დრო არა მაქვს. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვინახულო ჩემი მეგობარი შალვა გვინჩიძე, რომელთანაც კარგა ხანია მიწერ-მოწერა მაქვს. თუ იმ ქუჩას, სადაც მოთავსებულია ჟურნ. „დროშის“ რედაქცია, ისეთი განლაგება აქვს, როგორც პრაღის პროსპექტს, მაშინ ადვილად ვიპოვნი მას, გავიარე გულში და გავედი რუსთაველის პროსპექტზე. თურმე არ შევმცდარვარ, და რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე „დროშის“ რედაქციაში გავჩნდი, სადაც შევხვდი ჩემს ძვირფას მეგობარს შალვა გვინჩიძეს. ეს შეხვედრა ჭეშმარიტად ორი დიდი ხნის ნაცნობი ადამიანის შეხვედრა იყო, იგი შემეგება როგორც თავის ღვიძლ, დიდი ხნის უნახავ შვილს. იმწამსვე დავრწმუნდი, რომ უკვე საიმედო ადამიანის ხელში ვიყავი. საუბრით გული რომ ვიჯერეთ, ამხ. გვინჩიძემ ახლახან გამოსული კარელ ჩაპეკის ნოველების წიგნი გადმომცა, რომელიც მას ეთარგმნა ჩეხურიდან. ჩემთვის იმ წუთებში ძნელი იყო სწრაფად გავრკვეულიყავი თარგმანის ავკარგიანობაში, ორიოდე სიტყვა მაინც რომ მეთქვა მთარგმნელისთვის მის ნამუშევარზე. ახლა კი, როცა უკვე შესაძლებლობა მომეცა გულდასმით გავცნობოდი წიგნს, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ თარგმანი ზედმიწევნით კეთილსინდისიერად და მაღალ მხატვრულ დონეზეა შესრულებული, როგორც ეს შეჰფერის კარელ ჩაპეკს, თავისებური სტილის მწერალს, რომლის სხვა ენაზე გადატანა არც ისე იოლი საქმე გახლავთ.

ჩემმა მეგობარმა გვინჩიძემ ჩაპეკზე მუშაობის შემდეგ ხელი მოკიდა ალოის ირასეკის ისტორიულ რომანს „ძაღლთავებს“ (პსოჰლავცი), რომელიც ჩააბარა კიდეც საბავშვო გამომცემლობა „საბლიტგამს“. მანვე თარგმნა: იან ამოს კომენსკის დიდტანიანი „რჩეული პედაგოგიური ნაწარმოები“ პროფესორ დავით ლორთქიფანიძის რედაქციით; შემდეგ — იაროსლავ ჰაშეკის სახელმოხვეჭილი ეპოპეის მიხედვით ცნობილ ჩეხ რეჟისორის ემილ ბურიანის მიერ კომედიად გადაკეთებული „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი“, რომლის სათეატრო ერთი ეგზემპლარი პრაღიდან მისმა მეგობარმა დოქტორ იარომირ იედლიჩკამ გადმოუგზავნა. პიესა დაიდგმება მიმდინარე თეატრალურ სეზონში. ამჟამად კი ამხ. გვინჩიძე ინტენსიურად მუშაობს იაროსლავ ჰაშეკის გენიალურ რომანზე „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი და მისი თავგადასავალი მსოფლიო ომში“.

„შვეიკი“ — ეს ხომ, გარკვეული აზრით, ჩეხური ბიბლიაა. ჩვენში არ მოიპოვება ადამიანი, რომელმაც ზეპირად არ იცოდეს მთელი პასაჟები ამ რომანიდან, და ჩეხს ვერაფერი ისე ვერ გაახარებს, როგორც ის ფაქტი, რომ მისი „შვეიკი“ მრავალ სხვა ენაზეც ითარგმნება და სხვასაც ისეთ დიდ კმაყოფილებას ჰგვრის, როგორც თვითონ ჩეხს.

შ. გვინჩიძესთან საუბრის შემდეგ გავემართე უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებისკენ, სადაც მიწვეული ვიყავი ამ საზოგადოების თავმჯდომარის ამხ. ვ. ქოჩორაძის მიერ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამხ. ქოჩორაძე პრაღაში იყო სტუმრად. ამხ. ქოჩორაძემ ისე გულთბილად მიმიღო და ისეთი დიდი დახმარება აღმომიჩინა თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილებისა და დაწესებულებების გაცნობის საქმეში, რომ ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. იმ რამდენიმე დღეში, რომლებიც მე დავყავი თბილისში, თითქმის ყველგან მოვასწარი მისვლა. საქართველოს მუზეუმში განმაცვიფრა ძველი ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის ძეგლებმა, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე საქართველოს ფლორისა და ფაუნის ექსპოზიციებმა. ამის მსგავსი არაფერი მენახა. სახვითი ხელოვნების გალერეაში ვტკბებოდი მოქანდაკე ნიკოლაძის ოსტატობით, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში წარუშლელი კვალი დასტოვა ფიროსმანის ბრწყინვალე სურათებმა. არა ერთხელ გვქონდა განზრახვა მე და ჩემს მეგობარს ივო ვაცულინს, ასევე დიდ თაყვანისმცემელს ფიროსმანის ნიჭისა, გვეშოვნა მისი სურათების რამდენიმე კარგი რეპროდუქცია, რომლითაც დაახლოებით წარმოდგენას მაინც შევუქმნიდით ჩეხეთის საზოგადოებას ამ თავისებურ მხატვარზე. საერთოდ, სამწუხაროა, რომ აქამდე პრაღაში არ იქნა და ვერ მოეწყო ქართული ხელოვნების გამოფენა...

ქართველებთან საუბრის დროს მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ჩვენს ხალხებს შორის არაჩვეულებრივი მეგობრული ურთიერთობაა დამკვიდრებული. საქართველოში თითქმის არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც ჩეხოსლოვაკიაში პირადი მეგობარი არ ჰყავდეს, ანდა არ გააჩნდეს სასიამოვნო მოგონებანი, დაკავშირებული ჩეხოსლოვაკიასთან. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველები ესოდენ დიდი სიმპათიით არიან ჩვენდამი განწყობილი, ჩვენ კი ასეთ გრძნობებს ვერ ვიჩენთ მათდამი. საკმარისია გავიხსენოთ, რამდენი ქართველი მეომარი ყოფილა დიდი სამამულო ომის პერიოდში პრაღაში, რამდენ ქართველ მეომარს უცხოვრია 1945 წელში პრაღელების ოჯახებში, რამდენი ცოცხალი ყვავილების თაიგული მიაქვთ პრაღელებს ყოველწლიურად პრაღის მიდამოებში მიწას მიბარებულ ქართველ გვარდიელ ტანკისტების სამარეზე. დიახ, ჩვენი მეგობრობა და სიყვარული ქართველებისადმი არანაკლებია, ღრმა და გულითადი.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩვენში დაინტერესებული იყვნენ საქართველოთი და მისი ხალხით. დავასახელოთ თუნდაც ჩვენი სასიქადულო სვატოპლუკ ჩეხი, რომელიც იყო კავკასიაში და მგზავრის წერილებში აღფრთოვანებით იხსენიებს საქართველოს. საქართველოში იყო, აგრეთვე, მწერალი სერვაც ჰელერი და ჟურნალისტი და მოგზაური იოზეფ ვუნში, რომლის წერილები და რეპორტაჟი იბეჭდებოდა იმდროინდელ დიდად პოპულარულ ჟურნალებში. გასაოცარია, რა სიზუსტით იყო აღწერილი ყოველივე, რაც კი რამ უნახავს ამ ადამიანებს საქართველოში. უნდა ვიფიქროთ, რომ მათი ინფორმატორები იყვნენ განათლებული ქართველები — და სულ ადვილი შესაძლებელია, რომ მათ შორის ილია ჭავჭავაძეც იყო. ხომ ცნობილია, რომ 1894 წელს ემილ ფაიტმა თავის წიგნში კავკასიაზე დიდი ადგილი დაუთმო საქართველოს აღწერას და ჭავჭავაძის რამდენიმე ლექსიც კი თარგმნა და ამ წიგნში შეიტანა. ეს იყო, რამდენადაც მე ვიცი, ქართული ლიტერატურის პირველი ნიმუშები ჩეხურ ენაზე, თუ, რა თქმა უნდა, არაფერს ვიტყვით ისეთ



სახ. საქ. სიხელმწიფო ... საჯარო ბიბლიოთეკა

ნაწარმოებზე, როგორიც იყო სიბრძნე ბალავარისა, რომელიც ევროპის ლიტერატურაში და, მაშასადამე ჩეხურ ლიტერატურაშიც უკვე საშუალო საუკუნეებში შემოვიდა. ფაისტის თარგმანები, ცხადია, გერმანულიდან იყო შესრულებული, მაგრამ მალე გამოჩნდა პირველი თარგმანები უშუალოდ ქართული ენიდან. მათი ავტორი იყო ო. ს. ვეტი, — ასე აწერდა ხელს მორავიელი მღვდელი ალოის კოუდელკა. მან გამოაქვეყნა აკაკი წერეთლის „ბაში აჩუკის" თარგმანი დიდად პოპულარულ „ოტოვიე სვიეტოვეში".

დიდი ოქტომბრის რევოლუციისა და დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ საქართველოთი დაინტერესება ჩვენში კიდევ უფრო გაძლიერდა.

ამის მაგალითი უამრავია: საჯარო ბიბლიოთეკაში მე წავაწყდი ერთ მთლად დაძენძილ პატარა წიგნს, რომელსაც მრავალ ხელში გაეარა, ვიდრე ჩემთან მოხვდებოდა — ეს იყო მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელო". წიგნი, რა თქმა უნდა, თარგმნილი იყო რუსულიდან, მაგრამ მან მაინც გამოიწვია ჩვენი მკითხველების ინტერესი შორეული მშვენიერი საქართველოსადმი.

ჩეხეთისა და საქართველოს შორის კულტურული კავშირის ხელის შეწყობაში გარკვეული წვლილი შეიტანა დიდმა ჩეხმა პოეტმა იოზეფ ჰორამ, რომელმაც თარგმნა ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის რამდენიმე ლექსი. სასურველია ეს ლექსები შეიკრიბოს და თბილისში გადაიგზავნოს. ამ ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილმა გამოჩენილმა ჩეხმა პოეტმა ვიტეზლავ ნეზვალმა რამდენიმე თავის ლექსში ხოტბა შეასხა საქართველოს სიმშვენიერეს. ასევე, ახლახან გარდაცვლილმა მარიამ პუიმანოვამ თავის რომანში „სიცოცხლე სიკვდილის წინააღმდეგ" თვალსაჩინო ადგილი დაუთმო საქართველოს ასახვას. გარდა ამისა, გაკიხსენოთ იან დრდას „წითელი თორტიზაც", რომელიც ჩეხურიდან შალვა გვინჩიძემ თარგმნა.

ანგარიში არა აქვს, რამდენი სტუმარი მიდის და მოდის ჩეხოსლოვაკიასა და საქართველოში. ბევრი ჩვენში სიყვარულითა და პატივისცემით იგონებს პოეტ-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის და სხვ. სტუმრობას. პრაღის კინოსტუდიაში ახსოვთ რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის, აგრეთვე, ცნობილი ქართველი სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის ჩამოსვლა. ასეთი სტუმრობა ყოველთვის თავდებია სულ ახალი და ახალი ურთიერთ გაცნობის, დამეგობრების, ცოცხალი კავშირის დამყარების ჩეხებსა და ქართველებს შორის. გავიხსენოთ პრაღის უნივერსიტეტის პროფესორის, დოქტორ იარომირ იედლიჩკას მარშანდელი სტუმრობა საქართველოში. ამ სტუმრობამ საქართველოსა და ჩეხეთს კიდევ უფრო განუმტკიცა მეგობრობა და გაუფართოვა სხვადასხვა სამეცნიერო დარგში ურთიერთობა. დოქტორ იარომირ იედლიჩკა, ჩვენი პატივცემული მასწავლებელი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ჩეხოსლოვაკიის კულტურული ურთიერთობისა საქართველოსთან, და უპირველეს ყოვლისა, თავისი საფუძვლიანი ცოდნით ქართული ენისა და ლიტერატურისა, ამავე დროს იგი ყველაზე უფრო მუყაითი და დაუღალავი მთარგმნელია ქართული მხატვრული ნაწარმოებების. მისი მეოხებით ამჟამად ჩვენ პრაღაში გვაქვს ქართული ენის შემსწავლელი მთელი სკოლა, რომელთაც საშუალება გვეძლევა უფრო ფართო ხასიათი მივცეთ ჩვენს მთარგმნელობითი შრომას. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს გამოვა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", ქართულიდან ჩეხურად თარგმნილი დოქტორ იარომირ იედლიჩკას მიერ. უახლოეს დროში გამოქვეყნდება დავით გურამიშვილის „მხიარული გაზაფხული", რომელიც იარომირ იედლიჩკამ პოეტ იაროსლავ სეიფერტთან ერთად თარგმნა. ამ ცოტა ხნის წინათ დოქტორ იარომირ იედლიჩკამ გამომცემლობა „სვიეტ სოვიეტეს" ჩააბარა რჩეული ქართული ხალხური სიმღერები — სიტყვა სიტყვითი თარგმანი შესრულებულია მის მიერ, ხოლო გალექსეს ისინი საუკეთესო ჩვენმა პოეტებმა. მაგრამ ამჟამად გარდა იედლიჩკასი ქართულიდან თარგმნიან სხვებიც, განსაკუთრებით მისი ახალგაზრდა მოწაფეები. ჩემმა მეგობარმა ივო ვაცულინმა ხელი მოკიდა საკმაოდ მძიმე ამოცანას — სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის" თარგმნას. ადგილები ამ თარგმანიდან წავიკითხე და შეიძლება ითქვას, რომ ეს თარგმანი არა მარტო ჩვენი კულტურული ურთიერთობის ხელის შემწყობია, არამედ ჩვენი მთარგმნელობითი ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშიც იქნება. პირადად მე, ახალგაზრდა ჩეხ პოეტთან მიროსლავ ჩერვენკთან ერთად, ვთარგმნი ილია ჭავჭავაძის ზოგიერთ ლექსებს.

თბილისიდან სრული კმაყოფილი და საამო შთაბეჭდილებით აღსავსე დავბრუნდი შინ, მშობლიურ პრაღაში. ჩემი ახლობელი მეგობრების წრეში უკეთესი მოსაგონი რა მექნება, თუ მშვენიერი საქართველო არა! სულ მუდამ ვიმეორებ იმ სიტყვებს, რომლითაც საქართველოს გამოვეთხოვე: გაუმარჯოს მშვიდობას და მეგობრობას მთელს ქვეყნიერებაზე! გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა საქართველოს გულითად, ურღვევ მეგობრობას!





ეროვნული ბიბლიოთეკა

**ამას წინათ ჩვენმა მწერალთა საზოგადოებრიობამ აღნიშნა საგამომცემლო** საქმის ძველი მუშაკის, ამჟამად გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას" დირექტორის მ. ი. ზლატკინის დაბადებიდან 60 წლისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 35 წლისთავი. გამომც. „ზარია ვოსტოკა" ამხ. ზლატკინის ხელმძღვანელობით ნაყოფიერსა და სასარგებლო მუშაობას ეწევა ქართული ლიტერატურის რუსულ ენაზე თარგმნისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ფოტოზე: — მ. ი. ზლატკინი (ცენტრში) თავის თანამშრომლებს შორის.

# ძილი ახანგრძლივებს სიცოცხლეს

მას შემდეგ, რაც აკადემიკოსმა პავლოვმა ნათლად დაამტკიცა ადამიანისა და მაღალ საფეხურზე მდგომი ცხოველების ცხოველმოქმედებაში ცენტრალური ნერვიულ სისტემის წამყვანი როლი, გერონტოლოგიის პრობლემათა დამუშავების საქმეში გამოჩნდა ახალი გზები და პერსპექტივები — მოგვითხრობს ჟურნალი „ნაუკა ი ჟიზნი" — წარმოიშვა იდეა ადამიანთა სიცოცხლის გახანგრძლივებისა ცენტრალური ნერვიული სისტემის საშუალებით ორგანიზმზე ერთიანი ზეგავლენისა.

პავლოვის თანამშრომელმა მ. პეტროვამ მიიღო პირდაპირი დადასტურება იმისა, რომ ორგანიზმის დაბერება დამოკიდებულია თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქის ფუნქციონალური გამოფიტვისაგან.

მან ჩაატარა ექსპერიმენტები ახალგაზრდა ძაღლებზე. ისინი ორ ჯგუფად დაჰყო, ერთნაირ პირობებში ჩააყენა (ჭამა-სმა, მოვლა), მაგრამ ერთი ჯგუფის ძაღლებზე ახდენდნენ ისეთ ზემოქმედებას, რაც იწვევდა თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქის მუდმივ გადატვირთვას. ამ გადატვირთვის შედეგად, ნერვოზით დაავადების გარდა, თავი იჩინა ადრეული დაბერების სიმპტომებმა. ძაღლები გახდნენ, ჩამოსცვივდათ კბილები, დასცვივდათ ბალანი, დაუქვეითდათ მოძრაობითი აქტივობა. მეორე ჯგუფის ძაღლები კი სრულიად ჯანსაღად რჩებოდნენ.

ასეთივე ცდები ჩაატარა პროფესორმა ბრაინესმა როგორც ძაღლებზე, ისე მაიმუნებზე. ამ ცდებით ეს პროფესორი ცხოველებში იწვევდა ადრეულ სიბერეს.

მას დაებადა აზრი, რათა ამ ადრეული სიბერის სიმპტომების მოსასპობად გამოყენებულ იქნას ხანგრძლივი ძილი.

ძილს იწვევდნენ ძილის მომგვრელი პრეპარატების ყოველდღიური შეშხაპუნებით. ცხოველს ათავსებდნენ დაბნელებულ, მყუდრო ოთახში და ამყოფებდნენ დიეტაზე.

მკურნალობის კურსის ჩატარების შემდეგ დაჩაჩანაკების სიმპტომები ქრებოდა.

თავისთავად დაისვა კითხვა: ხომ არ შეიძლება ამავე მეთოდით ვუმკურნალოთ ბუნებრივ სიბერეს. დაიწყო ცდები, სამი თვის განმავლობაში აწარმოებდნენ ცდას დაჩაჩაიაკებულ ძაღლებზე. ხანგრძლივმა ხელოვნურმა ძილმა კარგი შედეგები გამოიღო. განსაკუთრებით აღსანიშნავია 15 წლიანი ბალონკის ჯიშის ძაღლის მკურნალობა. 1951 წლის დასაწყისში ეს ძაღლი შეამოწმა ვეტერინარიის პროფესორმა ფადეევმა, რომელმაც დაადასტურა ცხოველის სიბერე — დაჩაჩანაკება. ძაღლს ეზარებოდა მოძრაობა და სულ იწვა. არაფერს ყურადღებას არ აქცევდა. დგებოდა მხოლოდ საჭმლის მისაღებად, მალე იღლებოდა და წვებოდა.

სამი თვის განმავლობაში ძილით მკურნალობის შემდეგ ძაღლის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. დაჩაჩანაკების მრავალი სიმპტომი გაქრა, აღუდგა მოტორული აქტივობა, აუმაღლდა კიდურებისა და კუხთების ტონუსი, მოძრაობა კოორდიხირებულ იქნა, გაქეციანებულ ადგილებზე ბალანი ამოუვიდა. ეს აღნიშნა იმავე პროფ. ფადეევმა, რომელმაც ძაღლი ხელმეორედ გასინჯა მკურნალობის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ. 1957 წელს ეს ძაღლი ფსიქიატრიის ინსტიტუტის ექსპერიმენტული ძილის ლაბორატორიაში კიდევ ცოცხლობდა. მან თავისი სიცოცხლის ზღვარს 6 წელი გადააჭარბა— (ამ ჯიშის ძაღლები 15 წელს ცოცხლობენ), 21 წლამდე მიაღწია და თავს ნორმალურად გრძნობდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სქესობრივი ინსტინქტი თანდათან ულორძინდებოდა და სიკვდილამდე შერჩა. იგი დაიღუპა შემთხვევით, — შიმპანზემ მოჰკლა.

დაკვირვებები ადასტურებენ, რომ ამ შემთხვევაში მკურნალობის შედეგად ადგილი ჰქონდა ორგანიზმში ღრმა გარდაქმნებს.

ბიოლოგიურად მრავალი მნიშვნელოვანი ფუნქციები, რომლებიც სიბერეში მოშლილი იყო, ისევ აღსდგა. ამიტომ, პროფ. ბრაინესის აზრით, ძილით მკურნალობა ერთ-ერთი არსებითი მეთოდია ადრეული დაჩაჩანაკების სიმპტომების მოსასპობად.

# სულიერი ნათესაობა

გ. მაჭავარიანი

ეს მოხდა 1948 წლის გაზაფხულზე...

რუსთაველის თეატრის ახალი დადგმა ალექსანდრე ყაზბეგის „ქეთევან დედოფალი" ვნახე და გარეთ გამოვდიოდი. ჩემს წინ ორი მეგობარი ახალგაზრდა მწერალი შევნიშნე. ისინი აღგზნებით ეკამათებოდნენ ერთმანეთს, სიტყვას არ აცლიდნენ, ღელავდნენ, ეტყობოდათ, ახალ სპექტაკლს ნოყიერი საზრდო მიეცა მათთვის. ერთი, მეტად სულსწრაფი, ჩქარობდა დასკვნების გამოტანის დროს, მხოლოდ ნაკლს აღნიშნავდა და რატომღაც დადებითზე სდუმდა. მეორე, უფრო დინჯი და აუჩქარებელი, როგორც ყოველთვის, ახლაც დაფიქრებულად მსჯელობდა. წამოვეწიე. ჩემმა მისვლამ მათი კამათი უფრო ზომიერი გახადა: ბოლოსდაბოლოს მოკამათენი შეთანხმდნენ: მათ დაასკვნეს, რომ მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, თეატრმა დადებითი სპექტაკლი შექმნა.

ამის შემდეგ საუბარი ალ. ყაზბეგის დრამის ირგვლივ დატრიალა და წმინდა ლიტერატურული ხასიათი მიიღო. მე საინტერესოდ მეჩვენა ეს საუბარი და შინ დაბრუნებისთანავე აღვადგინე.

აი მათი პაექრობის თითქმის სიტყვა-სიტყვითი ჩანაწერი:

პირველი: მე კარგა ხანია ალექსანდრე ყაზბეგის დრამატურგიული ნაწერებისათვის აღარ გადამიხედავს, და უნდა ვთქვა, რომ დიდი სიამოვნება განმაცდევინა დღევანდელმა წარმოდგენამ... ყაზბეგს რომ ადრევე არ დაენებებინა ამ ჟანრისათვის თავი, ჩვენი დრამატურგიის ფესვები უფრო ღრმა იქნებოდა, უფრო ძარღვიანი.

მეორე: მაინც მისი პროზა უფრო მდიდარია, მაღალი, სრულქმნილი.

პირველი: ცხადია, მაგრამ განა ამ დრამაში ცოტაა ბრწყინვალე გაელვებანი? ჯერ მარტო კახელი გლეხის შეპყრობის სცენა რად ღირს!.. სპარსელები გლეხს ხარს წაართმევენ და როდესაც ის აღშფოთდება და წინააღმდეგობას უწევს, ხეზე მიაკრავენ, სიკვდილით ემუქრებიან... სიკვდილი არ აშინებს ქართველ გლეხს, მისი სული უტეხია, დაუმორჩილებელი. მაშინ სპარსელები მას წამებისთვის ამზადებენ.

„რეგვენო, გულმკერდს გაგიფატრავთ, გაწამებთ..."—ემუქრებიან სპარსელები.

„ბოლოს ხომ მოვკვდები"... — უპასუხებს გლეხი.

„გულს ამოგართმევთ, სისხლს გამოგწურავთ!" — თავს დაჰკივიან ჯალათები.

„ბოლოს ხომ მოვკვდები"... — ისევ დინჯად უპასუხებს ხელფეხგაკრული გლეხი.

„მოკვდები, მა რა მოგივა!"

„მოვკვდები და მოვისვენებ, მოვკვდები და სასუფეველს მივიღებ!"

არა ტყდება სამშობლოს ერთგული გლეხი.

ამ ადგილმა ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი" გამახსენა.

მეორე: მაინც რატომ?

პირველი: აბა გაიხსენე ზვიადაურის წამების აღწერა: ქისტები ხევსურ ზვიადაურს გარს შემორტყმიან, უნდათ თავიანთ მკვდარს დარლას დაკლან, რომ საიქიოს მის მსახურად და „ჯლანის მზანელად" აქციონ ურჩი სტუმარი...

„დარლასამც შაეწირები!" — ჩასძახიან ქისტები ზვიადაურს.

„ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა!" — გაჰკივის ხანჯალდაბჯენილი ხევსური. მან კარგად იცის, რასაც ნიშნავს სხვის მკვდრისად სულის შეწირვა, ამიტომ არა ტყდება და ქისტების ყოველ დაძახილზე რომ მათ მკვდარს შეეწიროს, თვალის დაუხამხამებლად იმეორებს:

„ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა,
ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა!"
„გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,
გული გულადვე რჩებოდა..."

მეორე: მსგავსება არის, მაგრამ ეს მსგავსება გარეგნულია: ორივე შემთხვევაში ქართველ კაცს აწამებენ უცხო მოძალადენი...

პირველი: არა, აქ მე უფრო შინაგანს, სულიერ მსგავსებას ვხედავ... აბა კარგად ჩავუღრმავდეთ საკითხს. ორივე შემთხვევაში მოძალადეთა მიზანი წამება ან დასჯა კი არ არის, არამედ „სულის გატეხვა", სულის დამორჩილება — ერთის—ქისტი მიცვალებულის მონა-მორჩილად ქცევა. მეორის — სამშობლოს მოღალატედ გახდომა. დასჯა იწყება მხოლოდ მაშინ, როცა სული არ ტყდება და მოძალადეთა მიზანი მიუღწეველი რჩება. ზვიადაურს და კახელ გლეხს „სულის დაკარგვისა" უფრო ეშინიათ, ვიდრე ფიზიკური წამებისა და სიკვდილისა, ამიტომ ამბობს ზვიადაური სიკვდილის წინ: ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადაო... ე. ი. მე მოვკვდები, მაგრამ ჩემი სული ცოცხალი დარჩება, თქვენს მკვდარს არ შეეწირებაო!

მეორე: მერე, განა კახელი გლეხიც მაგას ამბობს?

პირველი: დიახ, სწორედ ამას ამბობს სხვა სიტყვებით: მაწამეთ, გული ამომართვით, მაგრამ იცოდეთ, არ გავტყდები, ბოლოს ხომ მოვკვდები, მეც დავისვენებ და ჩემი სულიც სასუფეველს დაიმკვიდრებსო.

მეორე: ახლა უფრო ნათელი გახდა შენი დაკვირვება და ვაჟას „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა" მართლაც დაემსგავსა ყაზბეგის „ბოლოს ხომ მოვკვდები"-ს, მაგრამ ახლა მე მათხოვე ყური. რაღაც საინტერესო და ამ მოვლენის მსგავსი მეც შევნიშნე ყაზბეგის პიესაში. აქ უკვე ყაზბეგი ენათესავება, უკეთ რომ ვთქვათ, ეხმიანება წინა დროების ერთ პოეტს... გაიხსენე კონსტანტინე ბატონიშვილისა და ქეთევან დედოფლის შეხვედრა. სიყვარულისგან გაშმაგებული ბატონიშვილი დედოფალს მუხლმოდრეკილი ეუბნება: გამხეცებული სიყვარული გულს მიხოკავსო...

პირველი: ეს ხომ ალექსანდრე ჭავჭავაძეა:

განმხეცებია, ვაჰ, სიყვარული,
და გულსა მიხოკს ვითა ლომია!

მეორე: ალბათ, ალექსანდრე ყაზბეგი თავისი სეხნიის ამ შესანიშნავ ლექსს ხშირად ღიღინებდა გულში და ხედავ, სად გამოუყენებია!

პირველი. ხდება შემთხვევითი შეხვედრებიც...

მეორე: მიმბაძველობა და მონური ეპიგონობა სხვა არის და სულთა ნათესაობა ან ცალკეულ განწყობილებათა ერთგვარი შეშღერება სხვა, ერთგან სისტემაა, მეორეგან გამონაკლისი... ჩვენი მწერლობის ბუმბერაზები თავისი ხმით მღეროდნენ და თუ ხანდახან სხვისი კილო გაერეოდათ ან წამოსცდებოდათ, ეს იმ მაგნიტური ძალის ბრალია, რითაც ისინი ერთმანეთს ხიბლავდნენ, იზიდავდნენ... ხშირად ტრადიციული ლექსის ეშხი ნოვატორის ხნასაც კი ასხვაფერებს.

პირველი: ჰო. ორბელიანი გამახსენდა. მის ომახიან, წმინდა ქართულ ხმაში ზოგჯერ საიათნოვას ყარაჩოღლული წკრიალა კილო იელვებდა ხოლმე. აკაკიც სწერდა მუხამბაზებს, ხოლო ვახტანგ ორბელიანი მუხამბაზით ცდილობდა მუხამბაზის განდევნას:

მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,
კინტოთ კილო, კილო შუა ბაზრისა!

მეორე: რამდენი ასეთი, ერთის შეხედვით წვრილმანია შეუსწავლელი...

პირველი: ერთ საინტერესო ამბავსაც გეტყვი. ამაზე ბევრი მიფიქრია და რახან სიტყვამ მოიტანა, არ დაგიმალავ. მე შევნიშნე საგულისხმო შემღერებათა ქსოვილი, რომელიც ლავრენტი არდაზიანსა და ილია ჭავჭავაძეს, დანიელ ჭონქაძესა და ილია ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს, იმავე გრიგოლსა და ილიას ერთმანეთთან საოცრად ანათესავებს. ეს შემღერებანი შეუიარაღებელი ყურისათვის შეუმჩნეველნი არიან... მათი მოსმენისა და შედარების შემდეგ ეს გოლიათები ჩვენთვის უფრო საყვარელნი ხდებიან, რადგან მათ ერთმანეთის სიტყვები გულით უტარებიათ, ულიღინიათ, მერე ოდესმე ბაგეს უნებურად წამოსცდენია, როგორც თავისი.

მეორე: ამას, ალბათ, საერთო მიზანი, მიმართულება იწვევდა?!

პირველი: არა, მე საერთო იდეიდან გამომდინარე სულიერ ნათესაობაზე არ ვლაპარაკობ... ამაზე ისედაც ბევრს სწერენ, სწერენ და საჭიროც არის. ჩემი კვლევის საგანი თუ სარბიელი უფრო ვიწროა.

მეორე: — მაინც?

პირველი: უნდა გამოვტყდე, ჯერ საგულდაგულოდ არ შემიმოწმებია. აქამდე სხვასაც აქვს თუ არა შენიშნული ეს მოვლენა, ამიტომ პირველობას არ ვიჩემებ, თუმცა... ახლა გავიხსენოთ არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი". როგორ შერთეს ცოლი მეჯღანუაშვილს?

მეორე — შეუცვალეს... ლამაზი გაასინჯეს და მახინჯი ჩაუგორეს ლოგინში.

პირველი: ასეა... ახლა ეს მითხარი, როგორ შერთეს ცოლი ლუარსაბ თათქარიძეს?

მეორე: ლუარსაბსაც ასევე... თუმცა არა, ლუარსაბის ძმას დავითს აჩვენეს ლამაზი ქალი და საცოდავ ლუარსაბს ეკლესიაში გვერდით მახინჯი დარეჯანი დაუყენეს... აქ განსხვავებაა.

პირველი: მთავარია ლამაზის მაგიერ მახინჯის შეტყუება! თუ დავუმატებთ იმასაც, რომ სახელები ლუარსაბ და დარეჯან იმავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანშიც გვხვდება, ჩემი დაკვირვება უფრო საფუძვლიანად მოგეჩვენება... გაიხსენე დარეჯან და ლუარსაბ რაინდიძეები! ეს სახელები რეალისტურ პროზაში პირველად არდაზიანმა იხმარა...

მეორე: კარგი, ვთქვათ ასეა... ჭონქაძე და ილია რაღად ახსენე ერთად?

პირველი: დიახ... გავიხსენოთ „სურამის ციხე“-დან ოსმან-აღას თავგადასავალი: ოსმან-აღას და ნატოს სიყვარული. მრისხანე ბატონი... ოსმან-აღას დაპატიმრება, ნატოს გაუპატიურება... ბატონის სიკვდილი... ოსმან-აღას გაყაჩაღება. ახლა „გლახის ნაამბობი“ გავიხსენოთ, გაბრიელის და...

მეორე: გაბრიელის და თამარის უბედური სიყვარული! ოღონდაც, ოღონდაც, აქაც აპატიმრებენ ვაჟს... ქალს აუპატიურებენ. სწორედ ასეა. შენ...

პირველი: მოიცა... ახლა გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე შევახვედროთ ერთმანეთს.

თუმცა ისინი ლიტერატურული რაყიფები იყვნენ, მაგრამ ცნობილია, როგორ უყვარდათ ერთმანეთის პოეზია. განსაკუთრებით ილია აღმერთებდა გრიგოლს... გარდა იმისა, რომ მათი პოემები „სადღეგრძელო“ და „აჩრდილი“ პოეტური აღნაგობით ერთმანეთს ძალზე უახლოვდება, აი, რა ტექსტუალურ მსგავსებას ვხედავთ მათ შორის:

ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ
მოჰკვდება,
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის
სახელს,
და არა ერთხელ ჭაბუკთა ყრმათა
ხმლის ტარზე ძლიერ
აუთრთოლებს ხელს,
იმ სიმღერას რა ისმენს მხცოვანი,
სიბერის ჟამსა კვლავ
მოიფონებს...

ეს სიტყვები ილიას მადლიან კალამს ეკუთვნის. ახლა გრიგოლს მოვუსმინოთ:

გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა
ხართ ჩვენი დიდება,
თქვენთა სახელთა ამაყად
წარმოსთქვამს შთამომავლობა,
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს
ცრემლ მოედინება,
მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი
ხმალსა მისწვდება!

მეორე: კი მაგრამ, თარიღები... პირველთქმა ვისია?

პირველი: ილიამ პირვანდელი ვარიანტი თავისი „აჩრდილისა“ 1859 წელს დაამთავრა, საბოლოო რედაქცია კი 1872 წელს. ორბელიანმა, თუ არ ვცდები, 1827-1870 წლებში დაწერა „სადღეგრძელო“... მაგრამ მე ამჟამად მონათესავე პოეტურ სულთა შემღერების საკითხი უფრო მიზიდავს, ვიდრე თარიღები... ამ მხრივ მართლაც საგულისხმოა ვახტანგ ორბელიანის მშვენიერი პოემა „იმედი“, რომელიც ორივე პოემას ენათესავება.

მეორე: საინტერესოა, ვინ უფრო ადრე გამოაქვეყნა პოემა, ილიამ თუ გრიგოლმა?

პირველი: არც გამოქვეყნების თარიღს აქვს მნიშვნელობა ამ საკითხის გადაწყვეტისათვის... ხშირად პოეტი გვიან აქვეყნებს, მაგრამ მანამდე მეგობრებს უკითხავს ან ხელნაწერად ავრცელებს: ერთის გულში დანთებული ნაპერწკალი მეორის გულს ედება და...

მეორე: ბარათაშვილზე რაღას იტყვი?

პირველი: ბარათაშვილი ბოლოსთვის შემოვინახე. გახსოვს, ცნობილი:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს
შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,
ნუღა დამეცეს ცრემლი
მწუხარის“.

აბა ახლა გრიგოლ ორბელიანის თითქმის მივიწყებული სიტყვები გავიხსენოთ:

„ვაი თუ ჩემმან, უდროდ შავბედმან,
აქ განმისაზღვრა მეც აღსასრული,
ვაი თუ მოვკვდე მეც ობოლ მწირად,
გულს არ დამეცეს სატრფოის
ცრემლი?
არ მესმას მისი ხმა ნუგეშისა,
სიკვდილის ჟამის დამატკბობელი...“

რას იტყვი, მეგობარო? თუ ისევ თარიღებზე შემეკითხები?

მაგრამ მეგობარი მას აღარ უსმენდა, დაცარიელებულ რუსთაველის პროსპექტს გაჰყურებდა დაფიქრებული.

გარეკანის პირველ გვერდზე: სოციალისტური შრომის გმირი — ვარდიშ კობერიძე.
ფერადი ფოტო მ. მიხაილოვისა

მეოთხე გვერდზე: რუსთავი. კულტურის სახლი.
ფერადი ფოტო მ. მიხაილოვისა

## უცხოური იუმორი

ეროვნული ბიბლიოთეკა



უტექსტო ხუმრობა



— ტაძიკ?... — არა. კაზიკ?... — არა. — ანატოლი?... — არა. — ზენეკ?... — არა.
ზბიგნევ ლენგრენის ნახატი.

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი ზ. ლეჟავა ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ.—რედაქტორის და პ/მგ. მდივნის—3-52-69, განყოფილებების—3-95-38

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 3 მან. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/XII-58 წ. გამომც. № 196. ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი 25.000. შეკ. № 1157, უე 07845

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

საჯარო ბიბლიოთეკა



მამას ეხმარება

ფოტოეტიუდი ო. მარგველაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა


ეროვნული
ბიბლიოთეკა